# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№52 (9883) 2025 წლის 9 აპრილი, ოთხშაბათი


## ო, სისხლო, რა უცებ წყალდები!..

**მორის ფოცხიშვილი:**

### ტიტები

დღე დგება უტყვი და უჩვევი,
მეწამულ ბილიკზე ვდგები, –
ვაჩუქოთ ერთმანეთს სიცოცხლე,
გავუთბოთ ერთმანეთს ძვლები.

თქვენს ლამაზ ფიქრებში ვიჭრები,
თქვენს სარკმელს ვაწყდები თრთოლვით...
ვაჩუქოთ ერთმანეთს წვიმები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს თოვლი.

ყველას სიყვარულში გიტყდებით,
გლოცავთ და მიშრება ყელი, –
ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ცრემლი!

გავუგოთ ერთმანეთს უკლებლივ,
ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი, –
ავუვსოთ ერთმანეთს გულები,
სიყრმის და სიცოცხლის რწმენით!

ვპოვოთ ერთმანეთი ღვთის ნებით.
სიტყვა გამოვნახოთ თბილი, –
ლოცვით მიმოვყაროთ ნისლები,

ფარად ავეფაროთ თბილისს!
ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,
შევუწყოთ ერთმანეთს ხმები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ზღაპრები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს წლები.

ო, სისხლო, რა უცებ წყალდები,
ო, გულო, რა უცებ თვრები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს თვალები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ფრთები.

ხორხს ცხელი სიმღერით ვიღადრავ,
ვფხიზლობ და ვჩურჩულებ: – ამინ!
დავუთმოთ ერთმანეთს დილა და
დავუთმოთ ერთმანეთს ღამე!

1989 წ.



აპრილი

**საქართველოს საპატრიარქო პაატა ბურჭულაძეს განუმარტავს:** (2)

**ნუ წაბილწავთ 9 აპრილის გმირთა სულებს!**



## გამოჩენილი კინო-რეჟისორი ცხინვალში,

**ანუ ორი „სეხნის“ ჭეშმარიტი მეგობრობა**



(9)

## „ბერნაბეუზე“ მამარდაშვილი ისევ უცხო-პლანეტელი იყო“

(10)



## ომი ყველაფერს აშიშვლებს!

## როგორ მდიდრდება ზელენსკი და მისი გარემოცვა უკრაინის განადგურებით!!!



(4-5)



(6) (7)

## მეგრელთა საქმე


WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# საქართველოს საპატრიარქო პაატა ბურჭულაძეს განუმარტავს:



**„ა.წ. 6 აპრილს ბ-მა პაატა ბურჭულაძემ კათოლიკოს-პატრიარქისგან ითხოვა კურთხევა, 9 აპრილს სამშობლოსთვის შეწირულთა სულების საოხად და მომხდარი ტრაგედიის გახსენების მიზნით, გამთენიისას ქაშვეთის ეკლესიის ზარები დარეკილიყო; მაგრამ ბ-ნ პაატას ბოლო განცხადებითვე, იგი 8-9 აპრილს აანონსებს თავისი პოლიტიკური ბრძოლის წამოწყებას და აკეთებს მოწოდებებს ამასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ზარების დარეკვაც მისთვის, სავარაუდოდ, ამ კონტექსტში მოიაზრება;**

**მიუხედავად ცალკეული სასულიერო პირებისგან გამოხატული ამა თუ იმ პოზიციისა, ზოგადად, ეკლესია არ არის და არც შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მიკერძოებული. მას აქვს მრევლის და, შესაძლებლობის ფარგლებში, ქვეყნის გაერთიანებისთვის ზრუნვის მოვალეობა და საღვთო სწავლების მიხედვით მოქმედების უფლება; ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს.**

**1989 წლიდან მოყოლებული, 9 აპრილი გამორჩეულ დღედ იქცა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში; ამასთან დაკავშირებით, წელსაც, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის კურთხევით, ტრადიციისამებრ, გადახდილი იქნება პანაშვიდებიც და პარაკლისებიც როგორც 9 აპრილის მემორიალთან, ასევე ქაშვეთის წმინდა გიორგის სახ. ტაძარში და საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრებში,“** – აღნიშნულია განცხადებაში.

# ნუ წაბილწავთ 9 აპრილის გმირთა სულებს!



## „სრულიად გაკოტრებული ოპოზიცია ცდილობს, ე.წ. პოლიტ-პატიმრების ოჯახებს და მათ სახელს ამოეფაროს“

**მას შემდეგ, რაც 31 მარტის აქცია ჩავარდა და ექს-პრეზიდენტმა რუსთაველის მოედანზე შეკრებილ ხალხს საქართველოს ისტორია წაუკითხა, ოპოზიციამ ახალი თარიღი ამოიღო მიზანში. ახლა მათ სურთ, რომ რუსთაველი 8 აპრილს დაიკავონ, რათა 9 აპრილს საქართველოს ხელისუფლებამ მემორიალთან მისვლა და 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი ვერ მიაგოს.**

მომღერალმა **პაატა ბურჭულაძემ**, რომელსაც 31 მარტს სიტყვით გამოსვლის უფლება არ მისცეს და მიკროფონი გამოურთეს, შეკრებილ ხალხს მეგაფონით მიმართა და განაცხადა, რომ 8 აპრილს შეკრებილიყვნენ, დაეკავებინათ რუსთაველი და იქიდან ფეხი აღარ მოეცვალათ.

სწორედ ამის შემდეგ ხდება ცნობილი, რომ 8 აპრილს აქციებისას დაკავებულების მშობლები და ოჯახის წევრები ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას: „სინდისის პატიმრების თავისუფლებისთვის“ ქმნიან.

ახლად შექმნილი მოძრაობა 8 აპრილს ღამეს პარლამენტის წინ გაათევს. მათივე განმარტებით, საზოგადოებრივი მოძრაობის მიზანი „რეჟიმის ტყვეების“ დაუყოვნებლივ გათავისუფლებისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმა იქნება.

**„8 აპრილს, 22:00 საათზე – 24-საათიანი აქცია პარლამენტის წინ. გავათიოთ ღამე გმირთა ხსოვნის პატივსაცემად. გავაგრძელოთ 24-საათიანი პროტესტი, რომ ეს ადგილი დავიცვათ თავისუფლებისთვის მებრძოლმა ხალხმა.**

**ჩვენი ერთად ყოფნით დავიცვათ ქვეყანა და არ მივცეთ რუსულ მარიონეტებს უფლება, წაბილწონ ეს დღე და ეს ადგილი!“**, – წერენ ორგანიზატორები.

პატიმრების ოჯახის წევრების მიერ 8 აპრილს დაგეგმილ საპროტესტო აქციაში მონაწილეობას კოალიცია „ცვლილებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელიაც მიიღებს. შესაძლოა, მის გარდა აქციაზე სხვა პოლიტიკური ლიდერებიც ვიხილოთ.

**„მორალური უპირატესობა მათ მხარეს არის. როდესაც შენ ოთხ კედელში უკანონოდ ხარ გამოკეტილი, გაძლიერებს. საკუთარ მაგალითზე შემიძლია გითხრათ ეს. პირველ რიგში, პოლიტიკოსებმა კეთილი უნდა ვინებოთ და ვიყოთ მკაფიოები საკუთარ გადაწყვეტილებებში და ყველა პროცესში უნდა შევიტანოთ სიცხადე. ჩვენ ვუერთდებით 8 აპრილის აქციას, ყველა ინიციატივაში მივიღებთ მონაწილეობას, თუკი რაიმე განსაკუთრებული მიუღებლობა არ იქნება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“**, – განაცხადა **ნიკა მელიამ**.

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** for.ge-თან ამბობს, რომ 8 აპრილს დაგეგმილი აქცია და მანამდეც ყველა აქცია, ოპოზიციის პოლიტიკური წინასასიკვდილო ჭინთვებია. გვენეტაძე აცხადებს, რომ ოპოზიცია ელექტორალურად უკვე იმდენად არის გაკოტრებული, რომ მისი ამომრჩეველიც კი მათ დაძახილზე ქუჩაში არ გადის.

**„ეს არ არის ოპოზიცია, ესენი არიან დავალების შემსრულებელი მე-5 კოლონა, რომლებიც ქვეყნის დასანქცირებას, ომში ჩაბმას, განადგურებას და უცხო ქვეყნების კოლონიად გადაქცევას ითხოვენ. ამიტომ მიიღეს ის, რისი მოლოდინიც იყო. ეს სრულიად გაკოტრებული ოპოზიცია, პოლიტიკურად, მორალურად, ავტორიტეტულად, ცდილობს ე.წ. პოლიტპატიმრების ოჯახებს და მათ სახელს ამოეფაროს. საკითხავია, ვინ არის პოლიტპატიმარი? ხალხი, რომელიც ჩვენს პოლიციელებს ცოცხლად დაწვას უპირებდა? პატიმრები არიან ის სუბიექტები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს ცეცხლს უკიდებდნენ და მის ფანჯრებს ლეწავდნენ? ქაშვეთის ეკლესიაში შარდავდნენ და სასულიერო პირებს შეურაცხყოფას აყენებდნენ? ესენი ჩადიან მეორე დიდ დანაშაულს, როდესაც მართლა პოლიტიკურ პატიმრებს და სამშობლოს პატრიოტ ხალხს ამ ავაზაკებს ადარებენ.**

**როგორ შეიძლება პოლიციაზე თავდამსხმელები შეადარო და გაუთანაბრო ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, სხვა ცნობილ დისიდენტებს. იმათ გვერდით უნდათ ანდრო ჭიჭინაძის და სხვების დაყენება. ეს არ გამოვა, ეს არის ძირშივე განწირული საკითხი. ხალხი კარგად არჩევს ამ ავაზაკებს, ვინც არიან. 8 აპრილსაც ეს ფუჭი მცდელობები ისევე უშედეგოდ დასრულდება, როგორც 31 მარტს დასრულდა. მე, მაგალითად, ამათი მხარდამჭერების მიკვირს, ვინც იქ, რეალურად, ამათ გამო მიდის. 31 მარტის მერე, როცა ხალხი ტყუილად მიიყვანა იმ ე.წ. პრეზიდენტმა და ფაქტობრივად, დასცინა, იმის მერე კიდევ ამათ დაძახილზე როგორ მივიდოდი“**, – ამბობს **გვენეტაძე**.

მისივე თქმით, ეს არის ოპოზიციის მცდელობა, საზოგადოებას თავი შეახსენონ, რომ არსებობენ, ასევე, ანგარიშვალდებულები არიან საკუთარ პატრონებთან, რომელთაც აჩვენებენ, რომ აი, რაც შეუძლიათ აკეთებენ.

**„სამწუხაროდ, ამ უცხოური ძალის აგენტებს ისევ მსუყედ კვებავენ, როგორც ეს ადრე იყო. ფაქტია, ამერიკიდან დიდ ბრიტანეთში გადმონაცვლებული „დიფ სთეითი“ გაჩერებას არ აპირებს და გრანტების იმედად გახარებული ოპოზიცია, ენჯეო სექტორი, პატრონების გულის გასახარად, აქ არეულობის იმიტაციას ცდილობენ.**

**გამოვიდნენ, დადგნენ და იყვნენ, მაგათი არავის ეშინია. 8 აპრილის მერე, ალბათ, იტყვიან, მოდი, 1 მაისს შევიკრიბოთო, შეიძლება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე აღნიშნონ. შემდეგ 9 მაისი მოდის და მასაც გამოიყენებენ, რომ რუსთაველზე დაფიქსირდნენ, რათა გრანტების ამბავი კიდევ უფრო გაინაღდონ. ახლა 26 მაისი მოდის და, რა თქმა უნდა, ეს დღე ხომ არ უნდა გაუშვან ხელიდან, მაგასაც გამოიყენებენ და ისევ იბოდიალებენ. ზაფხულში დაისვენებენ, ხოლო შემოდგომიდან თვითმმართველობის არჩევნები მოდის და გააგრძელებენ ასე ბოდიალს. ხალხს უკვე რუსთაველზე გასვლა და დგომა სამსახურად აქვს ქცეული და რას კარგავენ რო?“**, – ამბობს **გვენეტაძე**.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## მამუკა მდინარაძე:

# ის, რაც ცუდია ამ ხალხისთვის, კარგია საქართველოსთვის

„**ქართული ოცნების**“ აღმასრულებელი მდივანი და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი **მამუკა მდინარაძე** არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით გაკეთებულ ერთობლივ განცხადებას ეხმიანება, რომელთა თქმითაც, მმართველი გუნდის მიერ ინიცირებული კანონი, რომელიც უცხოური დონორების მიერ გრანტის გაცემის წესს დაარეგულირებს – „რუსული კანონია“.

„მარტივი და უტყუარი ტესტი – ის, რაც ცუდია ამ ხალხისთვის (უცხოეთის აგენტურისთვის), კარგია საქართველოსთვის!“ – წერს **მამუკა მდინარაძე** სოციალურ ქსელში.

## კახა კალაძე:

# არავის მიეცემა შესაძლებლობა, საქართველოს ინტერესები ფეხქვეშ გათელონ

**ნუ გვაშინებენ ამ სანქციებით, არც კაია კალასს და არავის არ მიეცემა შესაძლებლობა, საქართველოს ინტერესები ფეხქვეშ გათელონ,** – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა **კახა კალაძემ** საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კაია კალასის განცხადების საპასუხოდ ისაუბრა.

**„ნუ გვაშინებენ ამ სანქციებით. ჩვენ ვიცავთ ჩვენს ქვეყანას, ქვეყნის ინტერესებს. კაია კალასი ქართველი ხალხის უფროსი ვერ იქნება. ზემოდან ყურება და მბრძანებლობა ვისთანაც გასდით, იმათთან გაუვიდეთ. არც კაია კალასს და არავის არ მიეცემა შესაძლებლობა, საქართველოს ინტერესები გამოყენებული იყოს თავიანთი ქვეყნის ინტერესების გასატარებლად და ჩვენი ქვეყნის ინტერესები გათელილი იყოს ფეხქვეშ, როგორც ეს სხვა ქვეყნის შემთხვევაში გააკეთეს.**

**კაია კალასი და მსგავსი ტიპის ჩინოვნიკები არიან უმცირესობაში, უმცირესობაში არიან რადიკალები, ვითომ პოლიტიკური პარტიები. ყველას მოუწევს, რომ ამ ყველაფერს შეეგუოს. ჩვენი ქვეყნის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა „ქართული ოცნება“-დემოკრატიულ საქართველოს“**, – აღნიშნა **კახა კალაძემ**

## მარიამ ლაშხი:

# ევროსაბჭოს ულტიმატუმის ენა ქართული საზოგადოებისთვისაა მიუღებელი

**განაცხადა** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **მარიამ ლაშხმა**.

**„ზამთრის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით ევროსაბჭომ აღიარა ჩვენი მანდატები, აღიარა არჩევნები. შემდგომ უკვე ის ულტიმატუმის რეზოლუცია, რომელიც მათ მიიღეს, პირველ რიგში ეწინააღმდეგება მათივე აღიარებულ მანდატებს.**

**ის რეზოლუცია და ის საუბარი, რასაც ისინი არალეგიტიმურ და უმანდატო რადიკალური ოპოზიციის ლიდერებთან – სამადაშვილთან და ბოკუჩავასთან ერთად დახურულ კარს მიღმა განიხილავენ, არ არის საინტერესო არც ხელისუფლებისთვის და მითუმეტეს არც საზოგადოებისათვის“**, – განაცხადა **მარიამ ლაშხმა**.

საქართველოს რესპუბლიკა



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# 2008 წლის აგვისტოს მოვლენების სამართლებრივი შეუფასებლობა დანაშაული იქნებოდა მომავალი თაობების წინაშე

**დროებითი საგამოძიებო კომისიის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ სამოქალაქო თავდაცვის ინფრასტრუქტურის დანგრევა-განიავება ვარდოსნებმა 2004 წელსვე დაიწყეს შს მინისტრის მოადგილის გია გეწაძის ხელით, რომელსაც „მიეშველა“ კახა ბენდუქიძე. როგორც ლორთქიფანიძე აცხადებს, 2007 წელს დავით კეზერაშვილის მიერ გაუქმებული და კომერციული მიზნებისთვის გაყიდული იქნა თბილისის სურსათის სტრატეგიული დანიშნულების ბაზა, თავისი უნიკალური სამაცივრე სისტემებით. 2004 წლიდან 2008 წლამდე თბილისის სამოქალაქო თავდაცვის მიწისქვეშა თავდაცვითი 407 ობიექტის უდიდესი ნაწილი კი პრივატიზირებული და კომერციული საქმიანობის მიზნებისთვის იქნა გამოყენებული.**

**for.ge დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესაუბრა.**

**– ბ-ნ დიმიტრი, 17 წლის შემდეგ რას გვაძლევს საპარლამენტო კომისია? ის, რასაც კომისიის სხდომაზე ყვებიან, ეს ხომ ცნობილი იყო ისედაც. რას ელოდებით ამ კომისიისგან – საქმეები გადაინაცვლებს პროკურატურაში?**

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:** განსაკუთრებული საჯარო-საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებს ორი ტიპის კომისიის შექმნას: დროებითი საპარლამენტო და დროებითი საპარლამენტო-საგამოძიებოს. 2008 წლის კომისია თავისი ფორმატით არ იყო საგამოძიებო, არამედ მას ევალებოდა მომხდარი კონფლიქტის გარშემო არსებული ინფორმაციის შეგროვება, ხოლო ამჟამინდელი კომისია თავისი არსით საგამოძიებოა და დაბარებულ პირთა გამოკითხვის ოქმები შემდგომი ბრალდებების ფორმულირების საფუძველი გახდება, გონიერ ეჭვს მიღმა არსებული მტკიცებულებათა სტანდარტის გათვალისწინებით, რაზედაც გენერალური პროკურატურა თავის საბოლოო სიტყვას იტყვის.

**– თქვენ იყავით იმ საგამოძიებო კომისიის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პაატა დავითაია და მაშინ ხელისუფლების ყველა წევრი მოდიოდა სხდომაზე. დღეს ასე არ არის, არ მოდიან, იმ მოტივით, რომ რუსეთის დაკვეთით შეიქმნა კომისიაო. რა ხდებოდა მაშინ კომისიაზე, რა დასკვნა გააკეთეთ მაშინ – ვინ დაიწყო ომი და რატომ?**

– აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ კომისიაში ჩემი მონაწილეობა განპირობებული იყო იმით, რომ პარლამენტის წევრად არჩევამდე მრავალი წელი ვიმუშავე ძალოვან სტრუქტურებში და მათ შორის სამოქალაქო თავდაცვის ქ. თბილისის სამმართველოში, პოლკოვნიკ ჯუმბერ ხაბურზანიასთან მივიღე მნიშვნელოვანი გამოცდილება იმისთვის, რომ საჭირო დროს ეს ცოდნა და გამოცდილება გამომეყენებინა. სწორედ ეს გარემოება გახდა მიზეზი ჩემი კომისიის წევრად არჩევის. ჩემს მიერვე პარლამენტში მოწვეულ იქნა ბატონი ჯუმბერ ხაბურზანია და ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით ჩავატარეთ ძალზე საპასუხისმგებლო სამუშაო – სამოქალაქო თავდაცვის მდგომარეობის შესახებ დასკვნა კომისიას დანართის სახით წარედგინა.

**– რა დასკვნა დადო სამოქალაქო თავდაცვამ, იკვეთებოდა პასუხისგებლობის საკითხი კონკრეტული პირების მიმართ?**

– საგულისხმოა, რომ აღნიშნული დასკვნა შეიცავდა ბრალდებებს უწყებების მხრიდან დანაშაულებრივი გულგრილობის ფაქტებზე და ეყრდნობოდა საერთაშორისო და ეროვნულ საკანონმდებლო ნორმატიულ ბაზას, რომლის აღუსრულებლობა იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 2005 წელს მოახდინა სამოქალაქო თავდაცვის ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რომლის ძალითაც, საომარ მოქმედებებში ქვეყნის ჩართვის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებული იყო შეესრულებინა რამდენიმე გადაუდებელი ამოცანა:

**1. მოსახლეობის საევაკუაციო გეგმები, საგანგებო სიტუაციათა მართვის სამთავრობო საბჭოს პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერმინისტრი.**

**2. შეტყობინებების სასირენო სისტემები ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში – ქალაქსა და დაბაში.**

**3. შუქ-შენიღბვითი სამუშაოები ყველა დასახლებულ პუნქტში.**

**4. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სურსათის სტრატეგიული მარაგების ბაზების შექმნა.**

**5. სამოქალაქო თავდაცვის მიწისქვეშა ობიექტების ორგანიზება კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული აღჭურვის გათვალისწინებით.**



**ზესახელმწიფოთა შორის გეოპოლიტიკური დაპირისპირების უშეღავათო პროცესში საქართველოს ანკესზე წამოსაცმელი ჭიაყელას როლი ერგო, აშშ-ს – მეთევზის, ხოლო რუსეთს – ღლავის! სააკაშვილმა ჯო ბაიდენის თამასუქი მიიღო 2009 წელს, მილიარდდოლარიანი პოლიტიკური ქრთამის სახით**

თქვენ წარმოიდგინეთ, არც ერთი პუნქტი 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს არ შესრულებულა.

2007 წელს დავით კეზერაშვილის მიერ გაუქმებული და კომერციული მიზნებისთვის გაყიდული იქნა თბილისის სურსათის სტრატეგიული დანიშნულების ბაზა, თავისი უნიკალური სამაცივრე სისტემებით, ხოლო 2004 წლიდან 2008 წლამდე თბილისის სამოქალაქო თავდაცვის მიწისქვეშა თავდაცვითი 407 ობიექტის უდიდესი ნაწილი პრივატიზირებული და კომერციული საქმიანობის მიზნებისთვის იქნა გამოყენებული!

**– ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რასაც წულუკიანის კომისია სვამს, ეს არის ევაკუაცია. მოვისმინეთ ქართველი გენერლების განცხადებები, მაგალითად, ბაზა გოგავა ამბობს, რომ „აი, ვერ შევძელი, ერთი კაცი ხომ ვერ ვიზამდი ყველაფერს“ და ა.შ. არანაკლებ სკანდალური იყო მამუკა ყურაშვილის განმარტებებიც. თქვენი კომისიის გამოძიებიდან თუ ამოვალთ, რატომ არ მოხდა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია? ვინ იყო პასუხისმგებელი ამ მიმართულებაზე და საერთოდ, არსებობდა ასეთი გეგმა?**

– ქ-ნი თეა წულუკიანის კომისიის წინაშე გამოკითხული იქნა გენერალი ბაზა გოგავა, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მეთაურობდა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებულ შტაბს. ჩემ მიერ 2008 წელსვე იმ საპარლამენტო კომისიის ფარგლებში, ბაზა გოგავასადმი დაისვა შეკითხვა: რა სამხედრო განათლების ცენზი განაპირობებდა მის თანამდებობას გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელად, ვინაიდან ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მას არ გააჩნდა სამხედრო განათლება და იყო მხოლოდ კონტრტერორისტული დანიშნულების სპეცრაზმის წევრის კურსგავლილი აშშ-ში, ხოლო საბრძოლო მოქმედებების თეატრში მთავარსარდლის როლი მოითხოვს უმაღლეს სამხედრო აკადემიურ განათლებას, რაც ბ-ნ ბაზა გოგავას, უბრალოდ, არ გააჩნდა!

აღსანიშნავია, რომ წულუკიანის კომისიის წინაშე ბაზა გოგავას მიერ გაცემული პასუხი საევაკუაციო გეგმისა და მოსახლეობის ინფორმირების არშემდგარ ფაქტთან დაკავშირებით, კრიტიკას ვერ უძლებს. გენერლის კიტელში მჯდომმა განაცხადა, რომ მარტო იყო და ვერ შეძლებდა ერთი კაცი ამხელა ამოცანის გადაჭრას, იქვე ისიც აღნიშნა, რომ თურმე გუფთის ხიდი იმიტომ არ იქნა წყობიდან გამოყვანილი, რომ მფრინავებმა მისი ბრძანება ვერ შეასრულეს და ვერ ააფეთქეს.

**– ევაკუციის შემთხვევაში რა სურათს მივიღებდით? დარწმუნებული ვარ, გექნებათ ამაზე ნაფიქრი...**

– აღსანიშნავია, რომ საევაკუაციო გეგმების არსებობის შესახებ კითხვა ჩემ მიერ დასმულია უკლებლივ ყველა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის, ვინც გამოვკითხეთ 2008 წელს: მიხეილ სააკაშვილი; ვლადიმერ გურგენიძე; ვანო მერაბიშვილი; დავით კეზერაშვილი; კახა ლომაია; გიგი უგულავა; ლადო ვარძელაშვილი და სხვა პირები ერთხმად აცხადებდნენ, რომ არ ელოდნენ რუსეთის ფედერაციის მხრიდან შეტევის ამხელა მასშტაბებს და ამის გამო არ ჰქონდათ შემუშავებული მოსახლეობის საევაკუაციო გეგმები!

საევაკუაციო გეგმების არარსებობის შედეგად ოთხივე ხეობიდან: კოდორის, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებიდან მოსახლეობა საცხოვრებელ სახლებს ტოვებდა სტიქიურად, მოუმზადებელი, სამხედრო კონტინგენტის მხრიდან დაცვის ღონისძიების უზრუნველყოფის გარეშე, რის გამოც გაიზარდა მსხვერპლი მათ რიგებში და გამოუსწორებელი ზიანი მიადგა სიჩქარეში მიტოვებულ მატერიალურ ქონებას.

**– რა გაგრძელებაც მოჰყვა აგვისტოს ომს და ვგულისხმობ რუსეთისთვის უპრობლემოდ სტრატეგიული ობიექტების გადაცემას და არა მხოლოდ ამას, რისთვის და ვისთვის მოაწყვეს სასაკლაო, რა იყო მოტივი და მიზანი?**

– აღსანიშნავია, რომ ხუთდღიან ომად წოდებული, რეალურად კი, ორ დღეში დასრულებული აგვისტოს ომის შემდგომ მიხეილ სააკაშვილმა მალევე გააფორმა რუსულ მხარესთან საიდუმლო მემორანდუმი ენგურჰესის სათავო ნაგებობის მართვასთან დაკავშირებით, ასევე, აშშ-ს ზეწოლით რუსეთს მწვანე შუქი აუნთო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად და იქვე ეკონომიკური საზღვრები გადმოსწია ფსოუდან ენგურზე და როკიდან – გორში!

**– საერთოდ, გეგმა თუ ჰქონდათ, როგორ უნდა ეწარმოებინათ ომი, მოგების შემდეგ რა იქნებოდა? წაგების შემდეგ რაც მოხდა ვნახეთ, მაგრამ სამხედროებს რატომ ჩამოართვეს ბერკეტები და გადასცეს საპოლიციო ნაწილს და საერთოდ, სამოქალაქო პირების ჩართულობა როგორ შეიძლება ავხსნათ?**

– გამოვიდა, რომ ზესახელმწიფოთა შორის გეოპოლიტიკური დაპირისპირების უშეღავათო პროცესში საქართველოს ანკესზე წამოსაცმელი ჭიაყელას როლი ერგო, აშშ-ს – მეთევზის, ხოლო რუსეთს – ღლავის! სააკაშვილმა ჯო ბაიდენის თამასუქი მიიღო 2009 წელს, მილიარდდოლარიანი პოლიტიკური ქრთამის სახით. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების სამართლებრივი შეუფასებლობა ეროვნულ დონეზე, დანაშაული იქნებოდა მომავალი თაობების წინაშე, ამიტომ წარმატებას ვუსურვებ დროებით საგამოძიებო საპარლამენტო კომისიას.

სამართალი უნდა აღსრულდეს. აქვე იმასაც დავამატებდი, რომ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: შევარდნაძემ 1995 წელს გარკვეული მოსაზრებიდან გამომდინარე, გააუქმა სამხედრო ტრიბუნალი, ხოლო სამხედრო პროკურატურა შეერწყა გენერალურ პროკურატურას. შესაბამისად, დროებით საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას აქვს უმაღლესი ლეგიტიმაცია.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

საქართველოს რესპუბლიკა

ომი ყველაფერს აშიშვლებს!

№52. ოთხშაბათი, 9 აპრილი, 2025 წელი



**ილია კივა:**

**უკრაინა დღეს არის დიდი კონცლაგერი, სადაც თარეშობს კორუფცია და ქაოსი**




# როგორ მდიდრდება ზელენსკი და მისი გარემოცვა უკრაინის განადგურებით!!!

**ჩვენმა მკითხველმა რამდენიმე დღის წინ იხილა ვრცელი სტატია უკრაინაში არსებული შავი ტრანსპლანტოლოგიის შესახებ. სტატიაში უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ვწერდი, რომ ყველაზე ძვირი ღირებულა ადამიანის გული და თირკმელი, მათში შავ ბაზარზე იხდიან თურმე ყველაზე ძვირს — 5 000 ევროს ერთ ცალ თირკმელში.**

**ტელეკომპანია PH TB-ს ეთერში მოსაუბრე ანდრეი პოპოვის, ანტიტერორისტული ჯგუფი „ალფას" ვეტერანთა ასოციაციის წევრის, იატაკქვეშა რეზერვის ცნობით: „არსებობს ტრანსპლანტოლოგთა ჯგუფი, ეს ჯგუფი იყოფა ქვეჯგუფებად. ერთნი ეძებენ მსხვერპლს, ექიმთა ჯგუფი კვეთს ორგანოებს და შემდეგი ჯგუფი მუშაობს გვამის დასუფთავებაზე და ა.შ.**

საქმიანობა მიმდინარეობს დახურულ, სარდაფის ტიპის შენობაში, სადაც ადამიანის სხეულის ნარჩენები და გამოყენებული იარაღები ინახება, რადგან დასუფთავების ჯგუფი ყოველთვის დროზე ვერ ახერხებს დავალების შესრულებას. საქმე ისაა, რომ უკრაინაში, რუსული სპეცოპერაციიდან რამდენიმე ხნით ადრე, 2021 წლის დეკემბერში უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო სპეციალური კანონი, რომლის მიხედვით, უკრაინის მოქალაქეს გარდაცვალებამდე უფლება აქვს გახდეს დონორი, ნოტარიალური თანხმობის გარეშე, თავისი ნებით.

ამ კანონის თანახმად, არმიის ნებისმიერი ჯარისკაცი შეუძლიათ წაიყვანონ და გამოიყენონ ორგანოების დონორად ისე, თითქოს ეს მისი უდიდესი სურვილი იყო.

ამერიკაში გლობალური ტიპის გამოძიება ჩაატარეს ტრანსპლანტოლოგიის შავი ბაზრის შესახებ და აღმოჩნდა, რომ ორგანოებზე მონადირეები მთელი მსოფლიოდან, ამ ვაჭრობით, მაგალითად, უკრაინაში 2 000 000 000 დოლარს გამოიმუშავებენ თვეში.

პატარა ბავშვი უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე – ქვეყნის ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში ასეთი ტიპის საქმიანობა მიმდინარეობდეს.

**უკრაინის უმაღლესი რადას მე-9 მოწვევის დეპუტატი ილია კივა ტელეკომპანია PH TB-ს ეთერში ამბობს: „თუკი არსებობს ადგილი, სადაც ადამიანები კვდებიან, ე.ი. ორგანოებიც იქნება იქ. ამიტომ ძიების პროცესი უნდა დაჩქარდეს, ან კონტროლზე იქნეს აყვანილი, იმიტომ რომ, ყოველივე ამას მოაქვს ფული და თუკი დღეს უკრაინაში ტრიალებს უზარმაზარი ფული, ეს არის უკრაინელების ხარჯზე მოპოვებული ფული. ეს ტერიტორია დღეს კოლონიზირებულია და იქ მიმდინარეობს პირდაპირი გენოციდი." – დასძენს ილია კივა.**




იმის გარდა, რომ უკრაინაში მიმდინარე ომში ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების ორგანოებით ვაჭრობით ითბობენ თურმე ხელს, ომი შემოსავლის სხვა წყაროებსაც აჩენს თავზეხელაღებული ადამიანებისთვის.

**ამერიკელი ჟურნალისტი, პულიცერის პრემიის ლაურეატი სეიმურ ჰერში პირდაპირ ადანაშაულებს უკრაინის ხელისუფლებას ამერიკის კონგრესის წევრების მოსყიდვაში, რათა გამოეყო კონგრესს 400 000 000 დოლარი, საწვავის შესყიდვის საბაბით, უკრაინული ჯავშანტექნიკისთვის.**

ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა დაასაბუთა, რომ ეს თანხები ჯავშანტექნიკის საწვავისთვის არ გამოყენებულა.

**„კორუფცია იქ ყვავის,** – ამტკიცებს **სეიმურ ჰერში** და განაგრძობს: **– მაგალითად, ტუალეტის ქაღალდს ყიდულობენ საშუალო რგოლისგან, რომ გადაყიდონ და ამით მოგება მიიღონ".**

ილია კივა კი დარწმუნებულია, რომ ზელენსკის საიდუმლო საბანკო ანგარიში დარეგისტრირებულია კოსტა-რიკაში და ეს ანგარიში ყოველთვიურად ივსება ტრანშით 12-დან 35 000 000 დოლარამდე.

ახლა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ყოფილი KBH-ელია და ერთ-ერთი მდიდარი ადამიანი გახლავთ მთელ უკრაინაში, თუმცა არც მისი თანაგუნდელები, ყოფილი KBH-ელები არიან ჯიბეცარიელი.

**უკრაინის უმაღლესი რადას მე-9 მოწვევის დეპუტატმა გეო ლერასმა** გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებს, როგორი ტიპის კორუფციული გარიგებები მიმდინარეობდა უკრაინის ხელისუფლებაში რუსული სპეცოპერაციის დასაწყისიდანვე. თანხები კოლოსალურად არის გაბერილი. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ზელენსკის მარჯვენა ხელი, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი **ანდრეი ერმაკი.** ე.წ. ატკატები, რომლებიც პრეზიდენტის სახელთან იყო და არის დაკავშირებული, უზარმაზარია, – ამბობს ლერასი.

გეო ლერასი იქვე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი კონტრაქტიდან მოგება 110 000 000 ევროს შეადგენს.

2022 წლის მარტი-აპრილის თვეში ბომბდამშენებისა და 152 მმ-იანი ჭურვების შესაძენად დადებულია სხვადასხვა სახის კონტრაქტი, მაგალითად, ერთ-ერთში 50 000 ცალი ჭურვის საყიდლად 2-ჯერ და 3-ჯერ მეტი თანხა არის გამოწერილი, იგივე სახის მეორე კონტრაქტთან შედარებით.

ასე მოქმედებს პრეზიდენტთან დაახლოებულ ადამიანთა წრე. მაგალითად, ზემოთ ნახსენები ანდრეი ერმაკი, პირადი მრჩეველი, ზელენსკის გუნდში 2011 წლიდან არის და დღემდე მუშაობს KBH-ელების მიერ დაარსებულ სტუდია „95-ე კვარტალში".



სეიმურ ჰერში



გეო ლერასი



სერგეი შეფირი

# ზნეობრივი სიმდაბლე



**ზელენსკის გუნდის გავლენიანი წევრია კიევის ელიტის წარმომადგენელი უმაღლეს რადაში, პრეზიდენტის ფრაქციის – „ხალხის მსახურის“ ლიდერი დავით არახამია. ყოფილი დიჯეი და „აიტიშნიკი“, რომელიც უკრაინის სახელმწიფოს მომლაპარაკებელთა ჯგუფში იყო ომის დაწყებისთანავე. ახლა ის აკონტროლებს სამხედრო საქონლის მიწოდებასა და ფულად გადმორიცხვებს დასავლელი პარტნიორებისაგან.**

საინფორმაციო წყაროების ცნობით, დონეცკელმა ჰაკერებმა მოიპოვეს ინფორმაცია, რომელიც ზელენსკის ადმინისტრაციაში ინახებოდა. დოკუმენტები შეიცავს ფულად ანგარიშებსა და გადმორიცხვებს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო USD-დან. დასახელებულია თანხა 15 500 000 000 დოლარი და მიმღებად ითვლება უკრაინის საგზაო ფონდი.

იმ ხანებში რუსეთისა და უკრაინის ტელევიზიითაც აჩვენეს ჩანაწერები. პრეზიდენტის მარჯვენა ხელის – **ერმაკისა** და **ნიკოლაი კიშჩენკოს** საუბარი ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას ეხებოდა. ამ პროცესში მითვისებული 200 000 000 დოლარი მაშინ დეპუტატებს ოფშორში, შვეიცარიულ ბანკში, უკვე ჰქონდათ გადაგზავნილი, ქვეყნიდან გაქცევის შემთხვევისთვის.

**РН ТВ**-ს ინფორმაციებზე დაყრდნობით, თანხების ოფშორებში განთავსებას უზრუნველყოფს ზელენსკის დამხმარე ფინანსურ საკითხებში **სერგეი შეფირი,** ზელენსკის ახლო მეგობარი **КВН**-ის პერიოდიდან.

შეფირი არ იძლევა ინტერვიუებს, არავითარი ურთიერთობა არ აქვს ჟურნალისტებთან, სულ რამდენიმე სატელევიზიო ჩანაწერი არსებობს მისი მონაწილეობით. ერთ-ერთი საუბრის დროს ის ჟურნალისტს ასე პასუხობს:

**„ჟურნალისტი**: მე თქვენთან კითხვა მაქვს, როგორც ზელენსკის მთავარ ოფშორულ მეგობართან, ურჩიეთ თუ არა ბატონ ზელენსკის, რომ გადმოიტანოს ეს ფული უკრაინის ბანკებში და გადაიხადოს ჯარიმები და პროცენტები ისევე, როგორ წესებსაც ის უწესებს უკრაინის სხვა მოქალაქეებს?

**სერგეი შეფირი**: მრავალჯერ უპასუხეს ამ შეკითხვას, სტუდია „95-ე კვარტალი“ ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ გადამხდელად მედია-ბიზნესში, ამიტომ არაფერია აქ საპასუხო და არც კომენტარია გასაკეთებელი“.

ჟურნალისტმა იმ გადაცემაში, **РН ТВ**-ს ეთერში, რატომღაც არ დაუსვა შეკითხვა შეფირს, საიდან შეიძინა მან ორი ბინა ლონდონის ცენტრში, რადგან, ბრიტანელი რეპორტიორების ცნობით, **სერგეი შეფირს** ლონდონში, რეჯენტ პარკზე, უძრავი ქონება ჰქონია 2 საძინებლით, რომელიც თურმე 1 მლნ 800 000 დოლარის ღირებულებისაა. კიდევ ერთი ბინა, რომელიც ბეიკერ-სტრიტზეა, შერლოკ ჰოლმსის მუზეუმის პირდაპირ, შეფასებულია 2 მლნ 200 000 დოლარად. ბინა, თურმე, ბორის ჯონსონის საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს მდებარეობს.

მაგრამ შემოსავლების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ზელენსკისა და მისი მეგობრებისთვის მაინც იარაღი რჩება.

ერთ-ერთ წყაროდ-თქო, ვთქვი და ქვემოთ ნახავთ, იარაღით ვაჭრობაზე უფრო დიდი შემოსავალი საიდან აქვთ უკრაინის დღევანდელ ხელმძღვანელობას და მასთან დაახლოებულ პირებს.

ვოლოდიმირი კი დასავლელ „მეგობრებს“ შესწუწუნებს: „არ გვყოფნის იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა. ჩვენ ახლა გვყავს 20 000 ტანკზე ნაკლები, უკრაინამ მოითხოვა მხოლოდ 1 % თქვენი ტანკების და იმაზეც თხოვნა გვიწევს“.



ალექსეი რეზნიკოვი



ანდრეი ერმაკი



მარკ მორალესი

**РН ТВ**-ს ცნობით, ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული სამი ადამიანი, სამივე პასუხისმგებელია ნატოს შეიარაღების უზრუნველყოფაზე უკრაინის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნიდან.

ესენი არიან: **ВСУ** ყოფილი სერჟანტი **ვლადიმირ კოიფმანი** – უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მრჩეველი, **დენის ვანაში** – იურისტი, იურიდიული კომპანია **„Vanash Urban Lawyers“-ის** დამფუძნებელი და ამერიკელი **მარკ მორალესი – „Global ordnance“**-ს მფლობელი. ამ უკანასკნელის ანგარიშზე სირიელი ტერორისტების შეიარაღების დიდი წილია, რომლებიც ასადის ხელისუფლების დამხობისთვის იბრძოდნენ. მორალესს კარგი ურთიერთობა აქვს ალ ქაიდასთან, ორგანიზაციასთან, რომელიც აკრძალული არის რუსეთის ტერიტორიაზე. **РН ТВ**-ს ინფორმაციით, მისი კავშირები იკვეთება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ჩაბმულ ბოევიკებთან და აფრიკის ქვეყნების არაკანონიერი სამხედრო ფორმირებების ლიდერებთან.

**რადგან მარკ მორალესი ვახსენეთ, არ შეიძლება ქართველ ე.წ. ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან მის მეგობრულ კავშირებზეც არ გითხრათ რამდენიმე სიტყვა.**

რამდენიმე წლის წინ ქართული პრესა იუწყებოდა, რომ შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა გააფართოვა გამოძიება კორუფციის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის იარაღის მიყიდვას უკავშირდებოდა.

გამოძიებაში ჟურნალისტი კრისტოფერ მეთიუ აღნიშნავდა, რომ 2008 წელს საქართველოს მთავრობა საბრძოლო მასალების ძიებაში იყო.

სწორედ ამ გამოძიებაში ჩნდება ვინმე **დენიელ ალვირესის** სახელი, რომელსაც თურმე ხელი მიუწვდებოდა „ემ-855“ ტიპის საბრძოლო ტყვიებზე და ახდენდა მის რეალიზაციას.

იქვე აღნიშნული იყო: თუკი ადრე გამოძიება მალავდა ისრაელის მოქალაქის ვინაობას, რომელიც გაყიდვების აგენტად იყო მოხსენიებული საქმეში, ამჯერად მისი სახელიც ცნობილი ხდება. ეს არის **ოფერ პაზი,** რომელიც ერთ-ერთია 22 დაკავებულს შორის. **პაზი** ისრაელში დაფუძნებული კომპანიის „პაზ ლოჯისტიკის“ პრეზიდენტია.

რაც შეეხება უშუალოდ ამუნიციების შესყიდვას.

**გამოძიებამ სხვა ადამიანის გვარიც დაადგინა. ეს არის მარკ მორალესი. საქმეში ის სახელდებულია, როგორც „შეთქმულების მონაწილე ნომერი პირველი.“ მის თანამზრახველად დასახელებულია ფლორიდაში მცხოვრები საულ მიშკინი, რომელიც თურმე სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული მასალებით ვაჭრობდა. მიშკინი საქართველოს მთავრობაზე თავისი ბიზნეს-პარტნიორის, ისრაელში მცხოვრები შაბთაი გატაშვილის საშუალებით გავიდა. სტატიაში წერია, რომ, თავის მხრივ, გატაშვილს საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა მიხეილ სააკაშვილთან და საქართველოს იმჟამინდელ თავდაცვის მინისტრთან დავით კეზერაშვილთან.**

**2012 წელს „ამერიკის ხმა“ იტყობინებოდა, რომ მთავარი პროკურატურა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის პროცედურებს ახორციელებდა.**

**„საქმე ეხება 2008 წლის თებერვალში ისრაელიდან 14 მილიონი ერთეული საბრძოლო მასალის – M855-ის შესყიდვას. ამ გარიგებაში ჩართული იყვნენ, როგორც გაყიდვების ინკოგნიტო აგენტი ისრაელიდან, ისე ამერიკული კომპანია ALS Technologies.**

**ამ კომპანიის პრეზიდენტი დანიელ ალვირესი, 21 პირთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ 2010 წელს დააპატიმრეს.**

**ამერიკის ფედერალურმა პროკურატურამ 22 პირს ბრალი „საგარეო კორუფციული პრაქტიკის აქტის“ კანონის დარღვევისთვის წაუყენა. ბრალდებაში ნათქვამი იყო, რომ ერთ შემთხვევაში, 3,9 მილიონი დოლარის ღირებულების საბრძოლო მასალა, საქართველოს მთავრობამ – 4,7 მილიონ დოლარად იყიდა. ალვირესმა კი ქრთამის სახით 112 ათასი დოლარი მიიღო.**

**ამერიკაში მიმდინარე გამოძიების თანახმად, M4 ტიპის ავტომატების ტყვიების კორუფციული სქემით შესყიდვაში ჩართული იყვნენ: ისრაელის კომპანია „პაზ ლოჯისტიკის“ პრეზიდენტი ოფერ პაზი, ამერიკის მოქალაქეები მარკ მორალესი და საულ მიშკინი, რომელიც საქართველოს მაშინდელ თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს მისი ნათესავის, ქართველი ებრაელის შაბთაი ბატაშვილის საშუალებით უკავშირდებოდა“.** – აღნიშნულია „ამერიკის ხმის“ მაშინდელ საინფორმაციო ველში.

**2008 წლის ივლისში, საქართველოს მთავრობასთან 7,2 მილიონი დოლარის გარიგებაში, ალვირესს დამატებით 57 600 დოლარი ერგო. საბრალდებო დასკვნიდან ასევე ნათელი იყო, რომ ქრთამს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირებიც იღებდნენ.**

**რასელ ბენტლი,** ტეხასელი სამხედრო კორესპონდენტი **РН ТВ**-ს ეთერში ამბობს: **ЦРУ** უკვე დიდი ხანია მუშაობს სხვადასხვა მაფიოზური ფიგურების საქმიანობაზე და იკვლევენ, ვისთან აქვს საქმე **მარკ მორალესს,** ასე თამამად რომ მოქმედებს.

დამოუკიდებელი უკრაინელი ჟურნალისტები წერენ, რომ უკრაინის შეიარაღება გაიყიდა და ის მიემართა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ჰამასისკენ. იქაურმა ბოევიკებმა მედიითაც გამოხატეს მადლიერება უკრაინის ხელისუფლებისადმი, იარაღით მომარაგების გამო.

მათი ცნობით, იარაღი იტვირთებოდა საზღვაო ხომალდებში და ზემოდან ეყრებოდა ხორბალი. ამ სქემით კიევის ხელისუფლება მოქმედებდა გასული წლის 18 ივლისამდე (იგულისხმება 2024 წელი. – **ავტ.**)

**ირანდა კალანდაძე**

**(დასასრული იქნება)**




## მასშტაბური ვარდნა აზიურ საფონდო ბაზრებზე

**„ბლუმბერგის“ ცნობით, აზიური საფონდო ინდექსი MSCI Asia Pacific Index, რომელიც აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის 13 ქვეყნის მაღალი და საშუალო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებს აერთიანებს, 7 აპრილის ვაჭრობის დროს 7%-ზე მეტით დაეცა, რაც ამ ინდექსისთვის 2008 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აღმოჩნდა. სააგენტოს ცნობით, ჰონგკონგის ბირჟაზე კოტირებული ჩინური აქციების ძირითადი ინდიკატორი 10%-ზე მეტით დაეცა.**

აზიური ბაზრების უმეტესობაზე ვაჭრობა მინიმალურ ნიშნულზეა. ტაივანის საფონდო ინდექსი, რომელიც ტექნოლოგიურ სექტორზეა ორიენტირებული, რეკორდული 9.8%-ით დაეცა. იაპონიასა და სამხრეთ კორეაში ძირითადი ინდექსები – 4%-ზე მეტით, ხოლო ინდოეთის ძირითადი ინდექსი 5.1%-ით დაეცა, რაც 2024 წლის ივნისის შემდეგ მაქსიმალური მაჩვენებელია. ზოგიერთ ქვეყანაში – ინდონეზიაში, ტაილანდსა და ვიეტნამში, ბაზრები დახურულია დღესასწაულების გამო, მაგრამ ბოლო დღეებში იქაც შეინიშნებოდა კლება.




ვარდნა ასევე შეეხო აზიურ ვალუტებს, მათ შორის ჩინურ იუანს, ყველაზე მეტად კი ფილიპინური პესო გაუფასურდა. აზიური ბაზრებზე ვარდნა აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ გამოცხადებული ტარიფების ფონზე გრძელდება.

ტრამპმა 2 აპრილს აშშ-ში საქონლის იმპორტზე გადასახადები დააწესა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის. ამ ფონზე აშშ-ის აქციების ბაზარმა აპრილის პირველ კვირაში COVID-19 პანდემიის დაწყების შემდეგ ყველაზე უარესი ვარდნა განიცადა. ამერიკული საფონდო ინდექსები 2024 წლის მაისის შემდეგ მინიმალურ ნიშნულებამდე დაეცა.

## ისეთი ტარიფები, როგორიც ტრამპმა დააწესა, ასი წელია, არ ყოფილა!

– ამის შესახებ პოლონეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ **მიხალ ბარანოვსკიმ** განაცხადა.

ბარანოვსკის თქმით, „ბოლოს მსგავსმა ვითარებამ გამოიწვია დიდი დეპრესიის გაღრმავება, რამაც საბოლოოდ გამოიწვია მილიონობით სამუშაო ადგილის დაკარგვა, პოლიტიკური ექსტრემიზმის ზრდა და, როგორც ბევრი ისტორიკოსი მიიჩნევს, საერთაშორისო კონფლიქტების ერთ-ერთი მიზეზი გახდა“.

**„სწორედ ეს დგას ახლა სასწორზე. იმედი მაქვს, ყველა გავითვალისწინებთ ისტორიის გაკვეთილებს“,** – აღნიშნა **ბარანოვსკიმ**

ამასთან, პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ევროკავშირი წუხს შემოღებული ტარიფების გამო. მისივე თქმით, **„სრულიად აშკარაა, რომ ამ დაპირისპირებაში გამარჯვებული არ იქნება“.**

**„ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ მიდგომას „ჯერ ისროლე, შემდეგ ილაპარაკე“. იმედი მაქვს, რაც შეიძლება სწრაფად შევძლებთ მოლაპარაკებებზე გადასვლას – სერიოზულ მოლაპარაკებებზე შეერთებულ შტატებთან“,** – აღნიშნა **ბარანოვსკიმ**



ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

სიტყვის დასასრულს მან ჩამოაყალიბა მოთხოვნები, რომლებიც „უნდა გაითვალისწინოს თბილისმა სამეგრელოსთან დამოკიდებულებაში": 1. **სოფლის და თემის საბჭოებში საქმის წარმოება მეგრულ ენაზე; 2. მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის მეგრულ ენაზე გამოცემა; 3. გამოიცეს გაზეთი მეგრულ ენაზე; 4. მოხდეს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია მოზარდ მოსახლეობაში მეგრულ ენაზე.**

1929 წლის ივლისში საქართველოს კპ(ბ) VI ყრილობაზე მაფალუელებმა ძირითადი ყურადღება მეგრული ენის უფლებების დაცვის საკითხებზე გადაიტანეს, ამ ეტაპზე სამეგრელოს ოლქის, სამეგრელოს ავტონომიის საკითხი ჩრდილში მოაქციეს.

მაფალუელების პოზიცია ყრილობაზე სასტიკად გააკრიტიკა შამშე ლეჟავამ: „ჩვენ სუყველა ქართველები ვართ და ჩვენი ფუძე არის ქართული კილოკავი...მათ უნდათ დაიწყონ ენით და შემდეგ ავტონომია მოითხოვონ".

ალ. დაუშვილი გვაცნობს საქართველოს პრეზიდენტის არქივში მიკვლეულ ი. ჟვანიას მოსკოვში მოგვიანებით გაგზავნილ წერილს, სადაც ნათქვამია, რომ 1929 წელს სოჭში სტალინს შეხვდა და საუბრისას სამი საკითხი დააყენა: **სამეგრელოს ოლქის ან საოლქო აღმასკომის შექმნა; მეგრულ ენაზე გაზეთის და სხვა საგლეხო ლიტერატურის გამოცემა და სკოლის პირველ საფეხურზე სამეგრელოს რაიონში მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება.**

ი. ჟვანია წერილში ამტკიცებს, სტალინმა ყველა საკითხზე დადებითი პასუხი მომცაო. ოღონდ, სავარაუდოა, რომ სტალინი ი. ჟვანიას მხოლოდ საკითხის შესწავლას და პრობლემაში გარკვევას დაჰპირდა. ამაზე მიგვანიშნებს საქ. კპ(ბ) ცკ-ის მთელი შემდგომი საქმიანობა საკითხის მოსაწესრიგებლად.

სხვათა შორის, საქართველოს უახლესი ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა გიორგი ციციშვილმა გამაცნო ი. სტალინის ჯერ კიდევ 1925 წელს თბილისში გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ სამეგრელოს ავტონომიის წინააღმდეგია.

1929 წლის ოქტომბერში საქ. კპ(ბ) ცკ-ის სამდივნომ გადაწყვეტილება მიიღო მეგრულ ენაზე გაზეთებისა და ბროშურების გამოცემისათვის საჭირო დოტაციის შესახებ.

ზუგდიდში დროს არ კარგავდნენ: შეუდგნენ საქმის წარმოების გადაყვანას მეგრულ ენაზე, აქტიური მუშაობა დაიწყო მეგრულ ენაზე გაზეთის გამოსაშვებად. პარალელურად გალის რაიონშიც მზადდებოდა „ყაზაყიში გაზეთის" გამოცემა.

მაგრამ მოულოდნელად ი. ჟვანიას და მის ჯგუფს ზუგდიდში სერიოზული ოპოზიცია გაუჩნდა – სამაზრო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, ბიუროს წევრი ბოკუჩავა და მაზრის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე პერტახია დაუპირისპირდნენ. ისინი ი. ჟვანიას მაფალუელების წახალისებაში დებდნენ ბრალს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ატყობინებდნენ, მაფალუელები აგიტაციას ეწევიან სოფლებში ოლქის შექმნის სასარგებლოდ და გლეხობას უმტკიცებენ, ოლქის წინააღმდეგ ქმედება ნიშნავს უარყო სკოლების, საავადმყოფოების შენებაო.

დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო.

რაც დრო გადიოდა, ბრძოლის ლოგიკა ი. ჟვანიას სულ უფრო და უფრო ითრევდა და მის წერილებს სულ უფრო ანტიქართული ელფერი ეძლეოდა. 1931 წლის ნოემბერში იგი საქ. კპ(ბ) ცკ პირველ მდივანს ლ. ბერიას უგზავნის მიმართვას ორი ძირითადი მოთხოვნით: 1. **შეიქმნას სამეგრელოს ოლქი იმ რაიონებიდან, რომლებშიც უმრავლესობას არ ესმის ქართული ენა; 2. ნება დაირთოს ამ რაიონებში (ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ხობი, სენაკი, ნაწილობრივ – მარტვილი, აბაშა) დაწყებით სკოლებში ისწავლებოდეს მეგრული ენა.**

ამ პერიოდში ი. ჟვანიას მეორე სერიოზული ოპოზიცია გაუჩინა და რაიონების სისტემის დანერგვამ – ერთი მაზრის ტერიტორიაზე ოთხი (ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ხობის) რაიონის შექმნამ. ახალმა პარტიულმა ლიდერებმა ი. ჟვანიას მორჩილებას თავი აარიდეს. მათ ხელს სულაც არ აძლევდათ ზუგდიდის ოლქში გათქვეფა. იმძლავრა ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი პატრიოტულმა გრძნობამაც.

ბრძოლა გაჭიანურდა. ი. ჟვანია დახურულ წერილს გზავნის სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროში და კვლავ ითხოვს სამეგრელოს ოლქის შექმნას ან საოლქო აღმასკომის დაშვებას, გაზეთებისა და ჟურნალების მეგრულ ენაზე გამოშვებას, სკოლის პირველ საფეხურზე მეგრულ ენაზე სწავლების ნებართვას.

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა საბოლოოდ აევსო და 1933 წლის 14 თებერვალს ი. ჟვანია თანამდებობიდან გადააყენა.

ამის შემდეგ (1933 წლის აპრილში) ზუგდიდში დაიწერა დოკუმენტი ი. სტალინის, მ. კალინინის, ვ. მოლოტოვის სახელზე, რასაც მკვლევარი ალ. დაუშვილი მოღალატურს უწოდებს. აი, ერთი ნაწყვეტი წერილიდან: **„მეგრელები ჯერ კიდევ არ ასიმილირებულან ქართველებთან და დიდხანს კიდევ არ ასიმილირდებიან, რადგანაც ქართული ენა თავსმოხვეულია კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად ჯერ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიერ, შემდეგ, მენშევიკებისა და ახლა ზოგიერთი გავლენიანი კომუნისტის მიერ...ასიმილაცია აუცილებელი არ არის, რადგან ქართული ენა მონოპოლიური კარები არ არის, რომელიც მაღალი კულტურისკენ წაიყვანს ამიერკავკასიის ხალხებს. განა აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს და სხვებს ხელი ეშლებათ მაღალ კულტურასთნ ზიარებაში, თუკი ქართველებთან არ ასიმილირდებიან?" ამის შემდეგ ავტორები აყალიბებენ ნაცნობ მოთხოვნებს.**

იმჟამინდელმა საქართველოს კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ ქმედითი ნაბიჯი გადადგა (ამაში ლ. ბერიას დამსახურება უდავოა) – მკაცრი ადმინისტრაციული ზემოქმედებით შეაჩერა საქართველოს ინტერესებისათვის მიუღებელი ტენდენციები, ხელი შეუწყო ერთიანი ქართული ცნობიერების განმტკიცებას (ქართული სკოლის სისტემის განვითარება, საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეებიდან ახალგაზრდების მიზნობრივი მიგრაცია ცენტრში და ა. შ.).

## საშიში რიკოშეტი

**ამრიგად, იკვეთება თუ რატომ ატეხა სტალინმა „ქარიშხალი ჭიქაში", რატომ გამოაბა საქართველოში გავრცელებულ ნათლიმამობას, მექრთამეობას, სახელმწიფო ქონების დატაცებას, ხაზინის ქურდობას ნაციონალიზმისა და ანტიპარტიულობის კუდი, რატომ ჩამოჰკიდა ყელზე წისქვილის ქვასავით სკპ (ბ) ცკ-ის დადგენილება და მდუღარე პოლიტიკურ მორევში გადაუძახა.**

მაგრამ, რაგინდ ფართო მოსაზრება ჰქონოდა ი. სტალინს, მის მიერ ჩაფიქრებული „ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის საქმე" არ შეიძლებოდა რიკოშეტით არ მოხვედროდა N1 მეგრელს და N2 ქართველს ლავრენტი ბერიას, ყოველ შემთხვევაში ხალხის თვალში მაინც.

დაპატიმრებულთა უმრავლესობა ლავრენტის ახლობელი იყო.

მიხა ბარამია მისი დახმარებით გავიდა დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. ჯერ პარტიის აჭარის, შემდეგ – აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, ბოლოს კი საქ. კპ(ბ) ცკ-ის მეორე მდივნად მისი წაწევა, საყოველთაო აზრით, სწორედ ლ. ბერიას წაბიძგებით მოხდა. მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ლ. ბერიას დამსახურებული როლი კავკასიის დაცვის დროს", მომავალში ამ ნაშრომის წიგნად გამოცემაც სურდა, მაგრამ დააპატიმრეს, წიგნის ხელნაწერი კი ამოიღეს. ერთი სიტყვით, მიხა ბარამია ბერიას ერთგული იყო.

ავქსენტი რაფავა 1924 წლიდან ლ. ბერიას მხარდამხარ მუშაობდა, მისი მოადგილე იყო საქართველოს უშიშროების სამსახურში. 1935 წელს, ლ. ბერი-



გრიგოლ კარანაძე



პეტრე შარია



სერგო ბერია

## მცირედი გადახვევა

*მკითხველს გავაცნობ ერთ საინტერესო ინფორმაციას, რომელსაც სერგო ბერია გვაწვდის (რაულ ჩილაჩავა – „ლავრენტი ბერიას ვაჟი გვიამბობს", 1992 წ. კიევი): „მამა გულგრილი არ იყო სამეგრელოსადმი, თავისი, როგორც იტყვიან, მცირე სამშობლოსადმი. იგი დედაჩემს სიცოცხლის ბოლომდე მეგრულად ელაპარაკებოდა, ეს მათი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. მამას აინტერესებდა კოლხების, ლაზების, მეგრელების ისტორია...საერთოდ მამაჩემი მეგრული სეპარატიზმის წინააღმდეგი იყო. მე კარგად მახსოვს ჭაღარაწვერიანი ისაკ ჟვანია, კაცი, რომელიც შეპყრობილი იყო სამეგრელოს ავტონომიზაციის იდეით...იგი ჯიუტად ედავებოდა მამას, უმტკიცებდა თავის სიმართლეს, რაიმეს გაგონებაც არ სურდა სამეგრელოს ავტონომიის მავნებლობაზე. როგორც ახლა ვფიქრობ, 50-იან წლებში შეთითხნილი „მეგრული საქმე" დაიწყო ისეთი გულუბრყვილო, თავისებურად პატიოსანი და წესიერი ადამიანების პროვოცირებით, როგორიც ისაკ ჟვანია იყო..."*

* * *

**ამრიგად, მაფალუს მოძრაობამ ისეთი დარტყმა მიიღო, რომ დიდი ხნის განმავლობაში მის შესახებ არაფერი ისმოდა.**

**საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ მოძრაობის რეანიმაციას.**



კოჭოია პაპავა

ართი დღას ქავესუმარი გვალო რჩინ კოჭოია პაპავას, ნამუთ ცხოვრენც სოხუმიში ქუჩას ბოტანიკური ბალიში პირდაპირსნი.

კოჭოიაქ ჩქიმი შეკითხირც — მუზმა წანერი რდუ თინანი ჟუპასუხ, ნამდა ინა 170 წანერიშე მეტი რენი. კოჭოიას გოლანერი დღაცალო შუ თი დრო, მუჟამცათი ზუგიც მითინი ვახორანდ ხვალე კოჭოიაში მეტინი. თინა მიორჩქინანც, ნამდა მუჟამცათი თიქ ზუგიც დოხორუნი მთელი ზუგიდი ურუმი

ტყას წარმადგინენდ, ამარი-ემერი დოსქილადირი მინდორეფც სიმინც თასინდ დო ცხოვრენდ ხვათახვალე.

კოჭოიას გვალო ხოლოში ულირო აძირუაფუ თი დრო, მუჟამცათი დადიანიში დოხორე აშენესინი.

თინა რაგადანც: „იმწკმა ურემი ვარდ დო თი ქუალეფი ნამუთუთ აშენებული რე დოხორენი, არძა მინ ხუჯით დო მინ მარხილით რე მოღალირი ურთაში გვალაშევა".

„უტუ მიქავა" კოჭოიაშო გოლანერი ამბე რე, ენა გვალო ასედე რდუა.

კოჭოიას თე დროთ მაოთხა ჩილი ღუნც, თინა ხოლო გვალო რჩინ, ნამუსუთ ვარაგადუ მუზმა წანელი რდუ მუნი.

კოჭოია დიო ღლარო მანგარო გინაფულენც დუც, ართი კაკალი წოხოლენი კიბირი ჭარკ; გილულა გვარიანი ჯგირო შულეფ, ოღონ თოლიში სინთე დო რჩქილა სუსტი ულუ.

ვ. თოფურიძე.

„ყაზახიშ გაზეთი"
1935 წ 12 სექტემბერი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" №47-48, 50-51


პავლე სუდოპლატოვი


აკაკი მგელაძე


ნიკოლოზ რუხაძე

ას ინიციატივით, რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა, 1937 წელს – აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, 1938 წელს კი თბილისში დააბრუნეს შინსახკომის შეფად.

გრიგოლ კარანაძე და პეტრე შარიაც ბერიას ახლობელთა წრეს ეკუთვნოდნენ. ასევე ახლობელი იყო ვარდო მაქსიმელაშვილი, რომელიც სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში მაიორის ჩინით მუშაობდა, მანამდე კი (1938 წელს) ლ. ბერიას მდივანი იყო თბილისში, მისი ინიციატივითა და წინადადებით გადავიდა მოსკოვში.

ლ. ბერიას ცოლის ნინა გეგეჭკორის უახლოესი ნათესავი იყო ტყვეობიდან დაბრუნებული თეიმურაზ შავდია, რომელიც უშუალოდ ნიკოლოზ რუხაძემ დააპატიმრა.

ერთი სიტყვით, იმპერიაში ფაქტობრივად მეორე კაცს ამ დაპატიმრებებით აშკარად საფლავი ეთხრებოდა...

რატომ?

შინსახკომის გენერალ-ლეიტენანტი, სსრკ უშიშროების ორგანოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საბჭოთა დაზვერვის საზღვარგარეთ დივერსიული მუშაობის, ფარული დიპლომატიის, საიდუმლო ოპერაციების, ბირთვული შპიონაჟის ცნობილი ოსტატი, ლევ ტროცკისა და სხვათა მკვლელობის ორგანიზატორი პავლე სუდოპლატოვი გახმაურებულ მოგონებათა წიგნში „სპეცოპერაციები, ლუბლიანკა და კრემლი 1930-1950 წლებში“ თავის ასეთ მოსაზრებას გვაცნობს:

**თვით სტალინმა მიიღო საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წმენდის გადაწყვეტილება. ცკ-ში ყველას ეშინოდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში რაიმე ცვლილების შესახებ წინადადების წამოყენება, რადგან საკითხი ეხებოდა სტალინის პირად კავშირებს და მას შეიძლება მისი თავმოყვარეობა შეელახა. გვეგონა, რომ სტალინმა ასე შეუტია საქართველოში მექრთამეობას. ახლა კი საარქივო დოკუმენტებით ვიცით, რომ ე. წ. „მეგრელთა საქმე“ თვით სტალინის მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი ბოლო წმენდაა.**

**სტალინის მმართველობის ბოლო წლებში ხელმძღვანელთა ვიწრო წრეში შედიოდნენ მალენკოვი, ბულგანინი, ხრუშჩოვი და ბერია. სტალინი ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ შორის მეტოქეობის გაღვივებას. 1951 წელს ბერია შერისხეს. სტალინმა ბრძანა ბერიას დედის ბინაში დაედგათ მისაყურადებელი მოწყობილობა. მან ასე განსაზღვრა: არც ბერია, არც მისი ცოლი თავს რაიმე ანტისტალინური გამოთქმის უფლებას არ მისცემენ, მაგრამ მის დედას – მართას, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, სწორედაც შეეძლო თანაგრძნობის სიტყვები ეთქვა დევნილი მეგრელი ნაციონალისტების მისამართით. ბერია მეგრელი იყო, მეგრელები კი ვერ ეწყობოდნენ გურულებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ენდობოდა სტალინი (პ. სუდოპლატოვს, ალბათ, აკაკი მგელაძის გურული წარმოშობა აქვს მხედველობაში – ა.ა.). მეგრელთა საქმე, არსებითად ეფუძნებოდა შეთითხნილ ბრალდებებს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მიზნით შეთქმულების შესახებ. სტალინმა ეს ბერიას თავიდან მოსაცილებლად წამოიწყო. მან მოითხოვა, რომ ბერიას თავისი ყველაზე სანდო ამხანაგები გაენადგურებინა. სტალინის პირადი ბრძანებით რუხაძე რიუმინის დახმარებით, რომელსაც ცუდი სახელი ჰქონდა, მაკომპრომეტირებელ მასალებს აგროვებდა ბერიასა და მის გარემოცვაზე, თავდაპირველად იყო ყოველდღიური თვალთვალი ბერიას ქართველ ნათესავებზე.**

**ასე დაიწყო საქართველოს ხელმძღვანელობის წმენდა, მათი, ვინც ახლოს იყო ბერიასთან. საქართველოში მექრთამეობის წინააღმდეგ კამპანია მეგრელების საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის მიზნით შეთქმულების ბრალდებაში გადაიზარდა. სტალინი ამაზე წავიდა, რათა ბერიასთვის საქართველოში გავლენის საფუძველი მოესპოო, – დასძენს პ. სუდოპლატოვი.**

მწერალ რაულ ჩილაჩავასთან ვრცელ ინტერვიუში („ლავრენტი ბერიას ვაჟი გვიამბობს“) სერგო ბერია იხსენებს, რომ უკანასკნელ პერიოდში სტალინისა და ბერიას ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. იოსებ ბესარიონის ძემ გადაწყვიტა რუსული შოვინისტური დაჯგუფებისთვის მსხვერპლად შეეწირა ლავრენტი ბერია. „მეგრელთა საქმე“ არასგზით არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ბელადის თანხმობის გარეშე... მხოლოდ სულელი ვერ მიხვდებოდა, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს ბინძური საქმე, რომელსაც აქტიურად წარმართავდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ს. დ. იგნატიევი... ნათელი იყო, რომ „საქმეს“ სანქცია მისცა უშუალოდ იოსებ ბესარიონის ძემ.

სერგო ბერია წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია“ (1994 წ.მოსკოვი) წერს:

**მეგრელთა საქმე, როგორც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აღიარა ხრუშჩოვმა, მამაჩემის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, ნიკიტა სერგის ძე მის ორგანიზებაში ერთადერთ ადამიანს – სტალინს ადანაშაულებს, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. პარტიული ზედაფენა, ბუნებრივია, თვით ხრუშჩოვის ჩათვლით, ცდილობდა ამჯერად ბერია მოეცილებინა სტალინის ხელით. ტყუილია, თითქოს დიქტატორები დროდადრო გავლენას არ ემორჩილებიან. ყოველ შემთხვევაში, ცოტა როდია იმის მაგალითი, რომ სტალინი უთმობდა ხოლმე თავის უახლოეს გარემოცვას. მაშინაც ასე იყო. ვარაუდობდნენ, რომ მასობრივი რეპრესიები საქართველოში მოახდენდა მამაჩემის დისკრედიტაციას, რის შემდეგაც, ბუნებრივია, შესაძლებელი გახდებოდა მისი „მოცილება“. სკკპ XX ყრილობაზეც და დასავლეთში გამოქვეყნებულ მოგონებებშიც, ხრუშჩოვი ლაპარაკობდა სტალინის თვითნებობაზე. „მეგრელთა საქმის“ ორგანიზებაში თავის როლზე კი, გასაგები მიზეზების გამო, არაფერი უთქვამსო, – დაასკვნის ავტორი.**

ნ. ხრუშჩოვი თავის მოგონებებში აღიარებს (თუმცა, 1953 წლის ივლისის პლენუმზე მანაც და სხვებმაც ეს საქმე სხვა რაკურსით წარმოაჩინეს), ჩემი ეჭვი, რომ სტალინს ეშინოდა ბერიასი, დადასტურდა, როცა სტალინმა „მეგრელთა საქმე“ შექმნა. მე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საქმე შეკოწიწებული იყო, რათა მოეცილებინათ ბერია, რომელიც თავადაც მეგრელი იყოო.

ცნობილია, ბოლო წლებში ეჭვიანობა განსაკუთრებით მოეძალა დაძაბუნებულ ბელადს. ავად შემოსწყრა ათწლეულობით ნამსახურებ ვიაჩესლავ მოლოტოვსა და ანასტას მიქოიანს. როგორც ჩანს, ლავრენტი ბერიაც სამიზნეზე ჰყავდა დასმული. სკკპ ცკ-ის 1953 წლის ივლისის პლენუმზე ა. მიქოიანმა განაცხადა, სტალინი ბოლო დროს არ ენდობოდა ბერიას, ბერია იძულებული იყო მისთვის უკანასკნელ ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე ეღიარებინა, სტალინი აღარ მენდობოდა, „მეგრელთა საქმე“ იმიტომ შეიქმნა, რომ მის საფუძველზე მე დავეპატიმრებინე, მაგრამ სტალინმა ვერ მოასწრო საქმის ბოლომდე მიყვანაო.

ნიკოლაი რუბინი წიგნში „ვინ იყო ლავრენტი ბერია“ გვაცნობს პოლკოვნიკ კონიახინის, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამი-


იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია ჩრდილოეთ კავკასიაში

ნისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის ყოფილი მოადგილის, ერთობ საყურადღებო აღიარებას. კონიახინი ამტკიცებს, რომ 1953 წლის 20 თებერვალს ყოფილი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვიქტორ აბაკუმოვის საქმის გამომძიებელ „გებისტთა“ ჯგუფთან საუბრისას სტალინმა განაცხადა: „სწორედ ბერიამ შემოგვტენა აბაკუმოვი... არ მიყვარს ბერია, მან კადრების შერჩევა არ იცის და ცდილობს ყველგან თავისი ხალხი დააყენოს“. ერთი კია, კონიახინის ეს განცხადება გაუკეთებია 1953 წ. სექტემბერში, ბერიას საქმის წინასწარი გამოძიებისას, როცა დამხობილი შეფის მიმართ ყოველგვარი ყალბი თუ რეალური ბრალდეება დიდად ფასობდა.

ზოგიერთი მოწმე მიანიშნებს, რომ სტალინს ჯერ კიდევ 1950 წლის ზაფხულიდან ჰქონდა ჩაფიქრებული ბერიას მოშორება.. სტალინის პირადი დაცვის უფროსი, გენერალი ვლასიკი იგონებს (ნ. ს. ვლასიკი „ჩემი ბიოგრაფია“ წიგნში: ვ. ლოგინოვი „სტალინის ჩრდილები“, მოსკოვი, 2000წ.), ბერია იმ დროს მხოლოდ მის მიერ ატომური პროექტის ხორცშესხმაში მიღწეულმა წარმატებამ გადაარჩინა, რასაც სტალინი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდაო.

1998 წელს დასტამბულ მოგონებათა მცირე წიგნში „სტალინი წყალტუბოში“ საქართველოს დამსახურებული ექიმი, 50-იან წლებში კურორტ წყალტუბოს N6 სააბაზანოს მთავარი ექიმი ამბროსი კირტავა საინტერესო ცნობას გვაწვდის. 1951 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში N6 სააბაზანოში იმკურნალა იოსებ სტალინმა, რომელიც იქ ბორჯომიდან ჩავიდა. მისი გამგზავრების შემდეგ წყალტუბოს ეწვია ლ. ბერიას მეუღლე ნინა გეგეჭკორი, რომელიც ამბროსის ბავშვობიდან იცნობდა (მარტვილში, თავის დროზე, ერთად სწავლობდნენ).

ამბროსი გვიამბობს:

**„მეორე დღეს, აბაზანის მიღების წინ საუბრის დროს, ნინას შევეკითხე, ბელადი როგორ ბრძანდება წყალტუბოში მკურნალობის შემდეგ, თქვენ ახლოს ხართ მასთან და გეცოდინებათ-მეთქი. რას იზამს, ზის და იქექება ბებერიო, მიპასუხა. ამის გამგონეს, გამაჟრჟოლა, ამის მოსმენა კი არა, გაფიქრებაც ვერ წარმომედგინა. იმხანად ბევრჯერ მიფიქრია, თუ რატომ მიპასუხა ნინამ ასე, შემდგომში კი ყოველივე ნათელი გახდა“.**

ფაქტია, რომ ნინა გეგეჭკორის პასუხი ი. სტალინისადმი არავითარ პატივისცემასა და სიყვარულზე არ მეტყველებს. ასე აგდებით მხოლოდ საძულველ ადამიანზე შეიძლება თქმა, რაც უტყუარად მიგვანიშნებს სტალინსა და ბერიას შორის იმხანად არსებულ ურთიერთობაზე, რამაც საგონებელში ჩააგდო ექიმი კირტავა და მხოლოდ შემდეგ, როცა დაიწერა ბოლო წლებში მათი დაძაბული ურთიერთობის შესახებ, ჩასწვდა ამას.

აქვე ერთი კითხვაც შეიძლება დაიბადოს: რატომ გარისკა და ენდო ლავრენტის მეუღლე ბავშვობის ამხანაგს, მას ხომ სხვაზე უკეთ უნდა სცოდნოდა ენაზე კბილის დაჭერის ფასი? ეს შეიძლება ძველი რომაელების ფრთიანი გამოთქმით ავხსნათ: „კეისრის ცოლი ეჭვს გარეშეა“.

ახლა ისევ აკაკი მგელაძის მოგონებებიდან მოვიტანოთ ფაქტები, რომელთა უტყუარობაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, შეიძლება ვირწმუნო:

„სტალინმა მიამბო ანეკდოტი: სტალინმა ჩიბუხი დაკარგა, ბერიამ ორ დღეში სამი კაცი დაიჭირა, რომლებმაც ქურდობა აღიარეს, ჩიბუხი კი თვით სტალინმა იპოვა დივანს იქით გადავარდნილი.

შემდეგ გააგრძელა – როცა ამ ანეკდოტს ყვებიან, ბევრი იცინის. მაგრამ მე სულაც არ მეცინება. ბერია მეტისმეტად ბევრ საქმეს ხსნის, მასთან ყველანი აღიარებენ ხოლმე. ეს დასაფიქრებელია. აზრი მექმნება, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში უკანონობას ბოლო ჯერაც არ მოღებია...ეს ანეკდოტი ხალხმა შეთხზა. ჩვენ ვეძებეთ ავტორი, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, ხალხი ტყუილად არ თხზავს. და, აი მეშინია,რომ ბერია ასე ქმნის „მტრულ ორგანიზაციებს“.

1951 წლის ნოემბერი. სტალინი ა. მგელაძეს ეუბნება:

**„– ბერია ძალზე პრეტენზიული გახდა. ის აღარ არის, რაც ადრე იყო. თქვენ მასთან სტუმრად ყოფილხართ მოსკოვში?**

**– არა, არ ვყოფილვარ.**

**– იცის, ვინ მიიპატიჟოს, – ირონიულად თქვა სტალინმა, – ამხანაგები, რომლებიც ახლა დადიან ხოლმე ბერიასთან, ამბობენ, ბინა ისე აქვს მოწყობილი, როგორც ნამდვილ ბურჟუასო. პრეტენზიულობას კიდევ რა უჭირს. ბერია ეშმაკი და, ალბათ, ვერაგია. მან იმდენად მოიპოვა პოლიტბიუროს წევრთა ნდობა, რომ როცა მე ვაკრიტიკებ, მრავალი მათგანი იცავს. არ იციან, რომ იგი მათზე „საქმეებს“ ქმნის, მაგალითად, ვიაჩესლავსა და ლაზარეზე (მოლოტოვსა და კაგანოვიჩზე – ა.ა.). ვფიქრობ, ბერია შორს გამიზნულ პოლიტიკას ეწევა. თავის დროზე მან ბევრი კარგი გააკეთა, მაგრამ ახლა... მე გარანტია არა მაქვს, რომ ის ბოროტად არ იყენებს ძალაუფლებას. მასზე ცუდი წარმოდგენისა იყვნენ ჟდანოვი და კიროვი, მაგრამ ჩვენ ბერია მოგვწონდა თავმდაბლობისა და ფხიანობისთვის. მან ახლა ეს თვისებები პირწმინდად დაკარგა“.**

(გაგრძელება იქნება).

# მსოფლიოს ყველაზე „ახალგაზრდა“ ქვეყანა!

**დასავლეთ აფრიკაში მდებარე ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც, ხშირად, აფრიკის გიგანტს უწოდებენ, კონტინენტის ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა 236 მილიონი მცხოვრებითა და უზარმაზარი ეკონომიკით. ხანდაზმულობის მიხედვით, ნიგერიის მოსახლეობა ყველაზე ახალგაზრდაა მსოფლიოში. გაეროს პროგნოზის თანახმად, 2050 წლისთვის, ნიგერიის მოსახლეობა 377 მილიონ ადამიანს მიაღწევს, ანუ, ინდოეთისა და ჩინეთის შემდეგ, მესამე ადგილზე გავა. ნიგერიის ტერიტორიაზე 500-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს.**



ოფიციალური სახელმწიფო ენა ინგლისურია. რელიგიურად, ქვეყანა ორადაა გაყოფილი: ქრისტიანები სამხრეთში ცხოვრობენ, მუსლიმები კი, ჩრდილოეთში. ნიგერია, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სამეფოთა და ტომთა დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. მე-19 საუკუნიდან, ბრიტანეთის კოლონია იყო. 1960 წელს, სახლმწიფო სუვერენიტეტი მოიპოვა, მაგრამ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან შვიდ წელიწადში, ქვეყანაში სამოქალაქო ომმა იფეთქა, რომელიც სამ წელიწადს გაგრძელდა და სამ მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა. ომის შემდეგ, ერთმანეთს ენაცვლებოდა დემოკრატიულად არჩეული მთავრობები და სამხედრო დიქტატურა, სანამ, 1999 წელს, ქვეყანამ შედარებით სტაბილურ დემოკრატიას არ მიაღწია.

ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით ნიგერია მსოფლიოს 27-ე ქვეყანაა, რომლის მთავარი სიმდიდრე ნავთობია. 1971 წლიდან, ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაციის წევრია. მიუხედავად ასეთი სიმდიდრისა, მოსახლეობის 70 პროცენტი ღარიბია, რომლის მიზეზად ელიტური კორუფცია სახელდება. სიღარიბეს კი, კრიმინალი მოაქვს. გაეროს მონაცემებით, ნიგერია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კრიმინალური ქვეყანაა, სადაც კბილებამდე შეიარაღებული ბანდები და ტერორისტული ორგანიზაციები დათარეშობენ, მათ შორის, ყველაზე ცნობილი ისლამისტური ორგანიზაცია **ბოკო-ჰარამია,** რომელიც ხშირად აწყობს ტერაქტებს. სახელმწიფოებრივი მოწყობით, ნიგერია ფედერალური საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომელიც აშშ-ის პოლიტიკური მოდელის მიხედვითაა შექმნილი. იგი 36 შტატისგან შედგება. ქვეყნის მეთაური პრეზიდენტია, რომელსაც ოთხი წლის ვადით ირჩევენ. ნიგერიის ახლანდელი პრეზიდენტი 73 წლის პოლიტიკოსი, ბოლა ტინუბუა.

ბოლა ტინუბუ ნიგერიის უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს, იორუბას მიეკუთვნება. სკოლა რომ დაამთავრა, საცხოვრებლად, ამერიკაში გადავიდა, სადაც ჩიკაგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ბუღალტერიას სწავლობდა. სტუდენტობის დროს მუშაობდა და პრაქტიკას გადიოდა ამერიკის ცნობილ აუდიტორულ კომპანიებში. 1983 წელს, სამშობლოში დაბრუნდა და ამერიკის ნავთობკომპანიის, Mobil-Oil-ის ნიგერიის ფილიალში დაიწყო მუშაობა, რომლის მენეჯერი გახდა. ბოლა ტინუბუს პოლიტიკური კარიერა 1991 წელს დაიწყო, როცა ის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანდა. 1992 წელს, ნიგერიის სენატში აირჩიეს, სადაც საფინანსო კომიტეტს ხელმძღვანელობდა. 1993 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ბოლა ტინუბუს პარტიის კანდიდატმა მოშუდ აბიოლამ გაიმარჯვა, მაგრამ, ნიგერიის გენერალიტეტმა, გენერალ სანი აბაჩას მეთაურობით, არჩევნების შედეგები არ ცნო.

ქვეყნის სათავეში გენერალი სანი აბაჩა მოვიდა, რომელმაც პარლამენტი დაითხოვა და დიქტატორი გახდა. ასე დამთავრდა ნიგერიის დემოკრატიზაციის მესამე მცდელობა. სწორედ მაშინ გახდა ბოლა ტინუბუ აქტივისტი, რომელიც დემოკრატიის აღდგენის კამპანიას შეუდგა და ბრძოლაში ეროვნულ-დემოკრატიულ კოალიციას შეუერთდა. 1994 წელს, ის იძულებული გახდა, ნიგერია დაეტოვებინა. სამშობლოში, მხოლოდ 1998 წელს, აბაჩას გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა. დიქტატორის გარდაცვალებით დაიწყო ნიგერიის დემოკრატიზაციის მეოთხე მცდელობა. იმავე წელს, საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შტატების გუბერნატორების არჩევნები ჩატარდა. ქვეყანა დემოკრატიზაციის გზას კი დაადგა, მაგრამ ელიტას მაინც ყოფილი გენერლები და მათთან ასოცირებული პარტიები წარმოადგენდა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე, ბოლა ტინუბუ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს, ექს-გენერალ ობასანჯო ოლუსუგენს დაუახლოვდა. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ბოლა ტინუბუ ლაგოსის შტატის გუბერნატორის კანდიდატად დაასახელა.

მან, არჩევნებში, დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, და ლაგოსის გუბერნატორი გახდა. პარტიის ლიდერი ობასანჯო ოლუსუგენი კი, ნიგერიის პრეზიდენტად აირჩიეს. 2003 წელს, ბოლა ტინუბუ მეორე ვადით აირჩიეს ლაგოსის გუბერნატორად. ეს თანამდებობა მას 2007 წლამდე ეკავა. მისი მეთაურობით, ლაგოსი გაძლიერდა და გაფართოვდა. პირადად მისი დამსახურებაა ლაგოსის სატრანსპორტო და დასუფთავების სისტემების წარმატებული განვითარება. ბოლა ტინუბუს გუბერნატორობის დროს, საჯარო მოხელეთა ხელფასები გაიზარდა და განათლებაში დიდი ინვესტიციები ჩაიდო. მეორე მხრივ, ბოლა ტინუბუ კორუფციულ სკანდალებში გაეხვა. მას ლაგოსის ნათლია შეარქვეს. მისი ოჯახი და ახლობლები ლაგოსის ყველა დიდ კომპანიაში ფლობდნენ წილებს.

2015 წელს, ნიგერიაში, დოკუმენტური ფილმი გამოვიდა, სახელწოდებით, ბურდილონის ლომი, რომელმაც ბოლა ტინუბუს მაქინაციები სააშკაროზე გამოიტანა. მან ფილმის შემქმნელებს უჩივლა და ფილმის აკრძალვას მიაღწია. ლაგოსის გუბერნატორობის შემდეგ, ბოლა ტინუბუს, 2023 წლამდე, ოფიციალური თანამდებობა აღარ დაუკავებია, მაგრამ, ის მუდამ რჩებოდა ნიგერიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირად. 2013 წელს, მისი თაოსნობით, ახალი პოლიტიკური ძალა შეიქმნა: საერთო-პროგრესული კონგრესი.

2015 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, კონგრესმა თავის კანდიდატად გენერალი მუჰამადუ ბუჰარი წამოაყენა. ბოლა ტინუბუს დახმარებით, ბუჰარმა საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. ბუჰარის გამარჯვებამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის 16-წლიანი მმართველობა დაასრულა. ქვეყნის ისტორიაში, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ოპოზიციურმა კანდიდატმა მოქმედი პრეზიდენტი დაამარცხა.

**2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, საერთო პროგრესულმა კონგრესმა, თავის კანდიდატად ბოლა ტინუბუ დაასახელა, რომელმაც დამაჯერებლად მოიგო არჩევნები და ნიგერიის მე-16 პრეზიდენტი გახდა. ბოლა ტინუბუს მეუღლე ქალბატონი რემი ტინუბუა. ისიც პოლიტიკოსია. სენატორი იყო. ბოლა ტინუბუ მუსლიმია, რემი ტინუბუ კი, ქრისტიანი. წყვილს სამი შვილი ჰყავს. ბოლა ტინუბუ სხვა კავშირებიდან კიდევ სამი შვილის მამაა. ტინუბუს ოჯახს დიდი წილები აქვს ნავთობსა და სამშენებლო კომპანიებში...**



**ნუგზარ (ბ) რუხაძე.**
**POSTV**

## ტრამპი თავდაცვის ბიუჯეტს რეკორდულ 1 ტრილიონ დოლარამდე ზრდის!

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა** განაცხადა, რომ ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი რეკორდულ 1 ტრილიონ დოლარამდე გაიზრდება.



**„ჩვენ დავამტკიცეთ ბიუჯეტი, რომლის მოცულობაც 1 ტრილიონი დოლარია. მანამდე ასეთი რამ არავის უნახავს“,** – თქვა ტრამპმა.

მისი თქმით, აშშ ყურადღებით ეპყრობა ხარჯებს, მაგრამ შეიარაღებული ძალები არის ის, რისი აშენებაც საჭიროა.

ტრამპის ამ განცხადებას აშშ-ის თავდაცვის მდივანი პიტ ჰეგსეტი გამოეხმაურა და მადლობა გადაუხადა. **„პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩვენ შეიარაღებულ ძალებს აღადგენს – და სწრაფად“,** – დაწერა ჰეგსეტმა სოციალურ ქსელ X-ში. ცნობისთვის, დღეის მდგომარეობით აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი 850 მილიარდია!

## რობერტ კენედი: აშშ-ის ჯანდაცვის მდივანი: შეწყვიტეთ ფტორის გამოყენება სასმელ წყალში!

**აშშ-ის ჯანდაცვის მდივანი რობერტ კენედი აცხადებს, რომ გეგმავს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს მიმართოს, შეწყვიტონ ფტორის გამოყენების რეკომენდაცია სასმელ წყალში.**



კენედიმ თქვა, რომ ის აგროვებს ჯანდაცვის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს, რათა შეისწავლოს საკითხი და მიიღოს ახალი რეკომენდაციები.

„ესოშიეთიდ პრესის“ ინფორმაციით, კენედის არ შეუძლია, უბრძანოს შტატებს, შეაჩერონ ფტორირება, მაგრამ მას შეუძლია, მიმართოს „დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებს“, შეწყვიტონ გამოყენების რეკომენდაცია და იმუშაოს გარემოს დაცვის სააგენტოსთან ნებადართული რაოდენობის შესაცვლელად. აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტომ გამოაცხადა, რომ განიხილავს „ახალ სამეცნიერო ინფორმაციას“ სასმელ წყალში ფტორის პოტენციური ჯანმრთელობის რისკების შესახებ.

გასულ თვეში იუტა გახდა აშშ-ის პირველი შტატი, რომელმაც აკრძალა ფტორი საზოგადოებრივ სასმელ წყალში. კენედიმ ფტორს უწოდა „საშიში ნეიროტოქსინი“ და თქვა, რომ ის დაკავშირებულია ართრიტთან, ძვლების რღვევებსა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან.

## ჩინეთში ხელოვნური ინტელექტის რობოტს ქმნიან!

**ჩინეთში, მსოფლიოში პირველი განახლებული ზოგადი დანიშნულების ხელოვნური ინტელექტის სისტემა, TongTong 2.0, დაინერგა. ამ ჰუმანოიდ რობოტს აქვს 5-6 წლის ბავშვის მსგავსი შემეცნებითი შესაძლებლობები, წერს Interesting Engineering.**

TongTong 2.0 შეიქმნა პეკინის გენერალური ხელოვნური ინტელექტის ინსტიტუტში. სისტემის პირველ ვერსიას ჰქონდა კოგნიტური უნარები 2-3 წლის ბავშვის დონეზე, ხოლო ახალი ვერსია უფრო განვითარებულია.

დეველოპერების თქმით, TongTong 2.0 მნიშვნელოვნად აღემატება თავის წინამორბედს. ახალი მოდელს აქვს მეტყველების, შემეცნების, მოძრაობის, სწავლის, ემოციებისა და ურთიერთქმედების უნარები.

გამოცემა წერს, რომ რობოტი დამოუკიდებლად ასუფთავებს თავის სათამაშოებს, წმენდს ლაქებს და ახარისხებს საგნებს სიმულაციურ სიტუაციებში. სწავლა მიმდინარეობს 100-ზე მეტ სრულიად რეალისტურ ციფრულ გარემოში.

დეველოპერები განსაკუთრებით ამაყობენ იმით, რომ TongTong 2.0 სისტემას შეუძლია დიალოგის კონტროლი და ემოციების სიმულაცია.

დემონსტრაციის დროს TongTong 2.0-მა აჩვენა პრობლემების გადაჭრის უნარი. რობოტმა კითხვისას ფეხსაცმელი გაიხადა და ასევე დივნიდან წამოდგა, რომ პულტი უფრო კომფორტულ ადგილას გადაეტანა.



# გამოჩენილი კინორეჟისორი ცხინვალში,

## ანუ ორი „სეხნის“ ჭეშმარიტი მეგობრობა

**საქვეყნოდ აღიარებულ შემოქმედს – სახელოვან რეჟისორს, სასიქადულო მამულიშვილს მერაბ კოკოჩაშვილს ამ გაზაფხულის გარიჟრაჟზე, დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.**

**ქართული ხელოვნების ამაგდარ მსახურს ახლო, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა გულქართლ მწერალ და დრამატურგ მერაბ ელიოზიშვილთან. აკი ამიტომაც, ლიახვისპირელი კალმოსნის შესახებ, თავის დროზე, საკადრის სიტყვასაც არ იშურებდა: „შენ იმ თაობას ეკუთვნი, რომელმაც 50-იანი წლების ბოლოს, სულ სხვა სურნელი შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. ეს სურნელი მხოლოდ წრფელ განცდას ასდის და რამდენად გაბრუებული იყო, რომ ამ სიმართლეს მოწყურებულ დროს, ქართული კინო თქვენკენ, ახალი ქართული მწერლობისკენ გამოექანა. შენც არ გიმტყუნია და მწერლებთან ერთად „თეთრი ქარავანი“ შემორეკე ქართულ კინოში...**

**მე კარგად ვიცი, სად მოწანწკარებს ამ შენი სურნელოვანი ლიტერატურის წყარო. ერწოდან ან რაჭიდან მომავალს აბა როგორ შეიძლებოდა ისე ამევლო ცხინვალი, რომ პატარა, მყუდრო ჩიხში არ შემეხვია და ჭიშკართან შენებურად არ დამეძახა – „სეხნი!“**






**მერაბ კოკოჩაშვილმა** გასული საუკუნის 60-იან წლებში შეაბიჯა ქართულ კინოში. იმხანად იწყებოდა პერიოდი, **„როცა კინემატოგრაფისტთა ახალმა თაობამ ყველაფერს ხელოვნურს, გამოგონილს დაუწყო ბრძოლა, როცა ბუნებრიობა ახალი კულტურის განუყოფელ სახედ იქცა.“ სწორედ ეს არის წამყვანი თემა მ. კოკოჩაშვილის კადრებგაუხუნარ ფილმებში, მათ შორის, – „დიდი მწვანე ველი.“** მასში, სწორედ ბუნებასა და ბუნებრიობას არ თმობს მწყემსი სოსანა. ის ვერ ელევა რეალობას, თავის კერას, წინაპართა ტრადიციებს. „საინტერესოა აღნიშნული პერსონაჟი იმით, რომ იგი ვერ ეგუება პედანტურ კანონებს, გარკვეულ პირობითობებს, წესებს.“

ნიშანდობლივია, რომ **ფილმს – „დიდი მწვანე ველი“ ე.წ. „ზასტოის ეპოქაში“ ყოვლად გაუმართლებელი ვერდიქტი გამოუტანეს – „დროის მთავარ მოთხოვნებს ვერ პასუხობსო“ და წლების მანძილზე „დაატყვევეს.“ და ეს იმიტომ, რომ ფილმი საბჭოური იდეოლოგიის პროტესტი იყო.**

იუბილარი რეჟისორის თქმით, კინოფილმის შექმნის ისტორია ასე დაიწყო: მერაბ ელიოზიშვილმა მომიტანა სცენარი, სადაც აღწერილი იყო მთავარი გმირის არაჩვეულებრივი სახე. სცენარის წაკითხვის შემდეგ დავინახე, რომ მწყემსი სოსანა ვერაფრით შეეგუა ცვლილებებს, კერძოდ, – ცივილიზაციას, რომელმაც ის თავის ფესვებს მოწყვიტა...

1966 წელს დავიწყე ფილმის გადაღება. როდესაც სცენარი მოსკოვში დასამტკიცებლად წავიღე, იქაურმა რედაქტორებმა სიღრმისეულად არ წაიკითხეს და ისე დაამტკიცეს. მათთვის მთავარი იყო, რომ სცენარი დაწერილი იყო მწყემსზე, მაგრამ მერე რა ემართებოდა ამ მწყემსს, აღარ დაინტერესებულან.

ფილმის გადაღებისას მოსკოვიდან პირველი მასალის შესამოწმებლად ჩამოვიდნენ. **ცეკას მდივანმა იდეოლოგიის დარგში ფილმი დაიწუნა – „ასე არ ვარგა, რაც გინდათ, ის მოიფიქრეთ, მაგრამ პირდაპირ უნდა მიუთითოთ, რომ სოსანა უარყოფითი გმირია...“**

სულ მალე მოსკოვიდან ჩამოვიდა მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს უფროსი, კინორეჟისორი იური ეგოროვი. როდესაც მასალა ნახა, ძალიან მოეწონა და გამოსავალიც მოძებნა. **ეს გამოსავალი იქნებოდა ფილმში კოლმეურნეობის თავმჯდომარის შემოყვანა, ოღონდ ეს თავმჯდომარე კეთილი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რადგან დაენახა, თუ რა ემართებოდა გმირს.**



სცენარის მიხედვით, კოლმეურნეობის თავმჯდომარე საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ამიტომაც საჭირო გახდა სცენარის გადაღება. მერაბ ელიოზიშვილმა, დიდი ძალისხმევით, სცენარი შეცვალა.




– ერწოდან თბილისში რომ ჩამოვედი, მერაბს სახლში მივაკითხე. მისი სამუშაო მაგიდის ირგვლივ უამრავი დაჭმუჭნილი ქაღალდი ეყარა. შემომჩივლა, – არაფერი გამომდისო. იმ საღამოს დავსხედით და ერთად დავწერეთ. ასე გაჩნდა ორი ახალი ეპიზოდი, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოჩნდა. მსახიობმა გრიგოლ ტყაბლაძემ კარგი კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახე შექმნა.

ბობოქარი XX ს. 60-იანი წლების მიწურულს, **ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ერწოს ტბის მიდამოებში გადაღებული ფილმი – „დიდი მწვანე ველი“ დღემდე საუკეთესო ნამუშევრადაა აღიარებული ქართული კინოს ისტორიაში.** მთავარი გმირი (მწყემსი სოსანა), რომელსაც დოდო აბაშიძე ასახიერებდა, არის კაცი-ადამიანი, რომელიც ბუნებას და ბუნებრიობას არ თმობს.

ფილმში, სხვადასხვა მსახიობებთან ერთად **ცხინვალელები – ზურაბ ცერაძე (იოთამი), თვით სცენარის ავტორი მერაბ ელიოზიშვილი და მისი თანაკლასელი ივანე ზაგაევიც მონაწილეობდნენ.**

მახსოვს, ჩემი უფროსი კოლეგა, ცხინვალში გამომავალი ერთადერთი ქართულენოვანი საოლქო გაზეთის პროპაგანდის განყოფილების გამგე ივანე ზაგაევი როგორ ზედმიწევნით იხსენებდა ერწოზე მხატვრული ფილმის გადაღების მომენტებს. ამასთან, სანაქებო სიტყვებს არ იშურებდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე „დიდოსტატი რეჟისორის“ მერაბ კოკოჩაშვილის მიმართ.

საგულისხმოა, რომ **„დიდმა მწვანე ველმა“ კომუნისტურ ვერდიქტს გაუძლო და დღეისათვის ყველა დროისა და ყველა ქვეყნის 100 საუკეთესო ფილმს შორისაა შესული.**

* * *

**ბატონო მერაბ!**

**ცხინვალელთა სახელით, თქვენს უამრავ თაყვანისმცემელთან ერთად, დაბადებიდან ცხრა ათეული წლის საიუბილეო თარიღს გილოცავთ!**

**მრავალჟამიერ თქვენდა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის – საქართველოს სადიდებლად და გასაგრწყინებლად!**

**რობერტ ოდიკაძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

## ჰარვარდის უნივერსიტეტი კავკასიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას იწყებს

**კავკასიის უნივერსიტეტმა და ჰარვარდის უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების პროფესიული და აღმასრულებელი განვითარების პროგრამების ცენტრმა თანამშრომლობა დაიწყო.**

თანამშრომლობა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women Georgia) მხარდაჭერითა და დანიის მთავრობისა და ნორვეგიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (NORAD) დაფინანსებით ხორციელდება. ჰარვარდის პროფესორების მიერ შექმნილი უნიკალური ლიდერობის პროგრამა, რომელიც რეგიონში ფინანსურ სექტორში დასაქმებული ქალების საჭიროებებზეა მორგებული, პირველად საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელდება. პროგრამის მიზანია ქალი პროფესიონალთა უახლესი ცოდნითა და სტრატეგიული ლიდერობის უნარებით აღჭურვა.

**პროგრამა – „ლიდერობა: ორგანიზაციული ცვლილებებისა და წარმატების მართვა“ 2025 წლის ივნისში დაიწყება. კურსს უხელმძღვანელებს ჰარვარდის პროფესორი, ორგანიზაციული ქცევის, სტრატეგიისა და ლიდერობის ექსპერტი ლორი პასკალი, რომელსაც აკადემიურ და ფინანსურ ინდუსტრიაში მოღვაწეობის 30 წელზე მეტი გამოცდილება აქვს.**

ინტენსიური სამდღიანი პროგრამა შემუშავებულია რეგიონის ფინანსური სექტორის საშუალო და მაღალი რგოლის ქალი პროფესიონალებისთვის, რომლებიც მოტივირებულები არიან, ორგანიზაციაში განახორციელონ ცვლილებები და გაიუმჯობესონ ლიდერული უნარები. კურსში ინტეგრირებულია ინტერაქციული ლექციები, შემთხვევების/ქეისების ანალიზი, გუნდური სავარჯიშოები, სტრატეგიული დისკუსიები და ისეთი აქტივობები, რომლებიც მონაწილეებს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში მყისიერი დანერგვის შესაძლებლობას მისცემს.

კავკასიის უნივერსიტეტისათვის ჰარვარდთან თანამშრომლობა კიდევ ერთი შესანიშნავი შესაძლებლობაა, განახორციელოს მსოფლიო დონის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში. აღნიშნული ცხადყოფს უნივერსიტეტის ინტერნაციონალურ მისწრაფებებს გლობალური განათლებისა და ლიდერობის განვითარების მიმართ.

**ჰარვარდის ამ უნიკალურ პროგრამაზე რამდენიმე ადგილი ჯერ კიდევ თავისუფალია.**

Professional & Executive Development
HARVARD DIVISION OF CONTINUING EDUCATION
UN WOMEN
ჰარვარდის უნივერსიტეტის
აღმასრულებელი ლიდერობის პროგრამა
კავკასიის უნივერსიტეტთან
თანამშრომლობით

# „ბერნაბეუზე“ მამარდაშვილი



# ისევ უცხოპლანეტელი იყო“

**ცნობილი ესპანური გამოცემა As-ი მადრიდის „რეალთან“ „ვალენსიას“ მეკარის გიორგი მამარდაშვილის ზღაპრულ თამაშს გამოეხმაურა.**

სტატიაში ნათქვამია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ის უცხოპლანეტელი იყო და „რეალის“ მადრიდში დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მეკარე ასე ითამაშებს:

**„უნდა მეჩვენებინა ვინ ვარ“ – გიორგი მამარდაშვილის სიტყვებია, რომელიც „რეალთან“ მატჩს არასტაბილური სეზონით შეხვდა. ფაქტობრივად, საუბარი იმაზეც კი იყო, რომ სტოლე დიმიტრიევსკის დაეკავებინა მისი ადგილი, მით უმეტეს, რომ სეზონის ბოლოს მამარდაშვილი ლივერპულში გაემგზავრება.**

**თუმცა, „ბერნაბეუზე“ ის კვლავ უცხოპლანეტელი იყო. ის იყო თამაშის MVP და მის სტატისტიკას 8 სეივი დაამატა, რამაც მადრიდის „რეალის“ სახლში „ვალენსიას“ გამარჯვება განაპირობა ბოლო 17 წელიწადში პირველად. მან ქულები მოიპოვა ლა ლიგაში მეორე ადგილზე მყოფი გუნდის წინააღმდეგ. მეკარის მხოლოდ ასეთი თამაშით იყო შესაძლებელი „ბერნაბეუზე“ გამარჯვება. „რეალი“ დაჟინებით ცდილობდა გატანას, 17-ჯერ დაარტყა, მათ შორის, 9-ჯერ კარში და მამარდაშვილმა ყველა დარტყმა მოიგერია, გარდა ვინისიუსის გოლისა, რომელიც კუთხურს მოჰყვა.**

**და ეს უბრალო სეივები არ იყო: 8 სეივიდან 5 ღირებული იყო: მბაპეს დარტყმა ზედა კუთხეში პირველ ტაიმში, ვალვერდეს ერთი შეხებით დარტყმა, როცა „ბერნაბეუზე“ ყველას უკვე გოლი ეგონა, დასწრება ლუკას ვასკესის წინააღმდეგ, ერთიერთზე რიუდიგერთან დამატებულ დროში, როცა ტაბლოზე უკვე 1:2 იყო და განსაკუთრებით პენალტი ვინისიუსის წინააღმდეგ.**

**პენალტამდე ვინისიუსს მეკარემ სანაძლეო შესთავაზა 50 ევროზე. ბრაზილიელიც დათანხმდა და ფსონი წააგო. რა თქმა უნდა, ქართველმა იხუმრა, რომ მას ფული არ გადაუხდია“,** – წერს გამოცემა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილი ლა ლიგამ „რეალთან“ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მან 8 დარტყმა მოიგერია, მათ შორის - პენალტიც. „ვალენსია“ ბოლო ხუთ ტურში დაუმარცხებელია (3 მოგება, 2 ფრე), 34 ქულა დააგროვა და მე-15 ადგილზეა, ხოლო მომდევნო მატჩს 11 აპრილს „სევილიასთან“ შინ გამართავს.

# —ორიოდე სიტყვით—

## ძიუდო

**ტეპლიცე (ჩეხეთი).** ჭაბუკთა ევროპის თასის გათამაშება. **ოქრო** – ალექსი გულია (50 კგ) და ვასილ გამეზარდაშვილი (73 კგ).. საქართველოს დელეგაციამ გუნდური მე-3 ადგილი დაიკავა და მხოლოდ აზერბაიჯანისა და საფრანგეთის ნაკრებებს ჩამორჩა. მორიგ ეტაპს 12-13 აპრილს თბილისი უმასპინძლებს.

## ფიგურული სრიალი

**უკვე გაუწყეთ,** რომ 17-20 აპრილს საქართველოს ნაკრები პირველად ისრიალებს პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე – მსოფლიოს გუნდური ალაფა 2025, რომელსაც ტოკიო უმასპინძლებს და იქ სპორტული სეზონის მსოფლიო რეიტინგის ლიდერთა ექვსეული იასპარეზებს.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული იაპონური გამოცდისთვის ყინულს უბრუნდებიან **მორის ყვითელაშვილი** და **ალინა ურუშაძე**.

## ფეხბურთი

**ნეიროქსელმა** ჩატ ჯიპიტიმ შეადგინა სამხრეთ ამერიკის ყველა დროის სიმბოლური ნაკრები, სადაც 5-5 წარმომადგენელი ჰყავთ არგენტინასა და ბრაზილიას, 1 – ჩილეს, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაი და მისი ვარსკვლავები საერთოდ ვერ მოხვდნენ:

**მეკარე** – ფილოლი.

**დაცვა** – რობერტო კარლოსი, ფიგეროა, პასარელა, კაფუ.

**ნახევარდაცვა** – ზიკო, რიკელმე, მარადონა.

**თავდასხმა** – პელე, რონალდინიო, მესი.

## ძალოსნობა

**საანგარიშო-საარჩევნო** ყრილობის მონაწილე დელეგატთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, მორიგი ოთხწლიანი ვადით, ეროვნულ ფედერაციას სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** უხელმძღვანელებს, ვიცე-პრეზიდენტები ყოფილი თავკაცი **კახი კახიაშვილი, ირაკლი თურმანიძე** და **ნოდარ სირბილაშვილი** იქნებიან, ხოლო გენერალური მდივანი – **რუსუდან მურადაშვილი.**

დამტკიცებულია აგრეთვე გამგეობის 15-წევრიანი შემადგენლობა.



## კალათბურთი

**იტალია.** სერია – ა. 25-ე ტური. ტრევიზო – ვირტუს ბოლონია 74:80. **თორნიკე შენგელია** – 21 ქულა, 11 მოხსნა, 6 ასისტი, 2 ჩაჭრა 35 წუთში და მატჩის MVP-ის ტიტული.

ბოლონიელები 18 მოგებითა და 7 წაგებით მე-2 ადგილზე არიან, 14 აპრილს კი ბრეშიას უმასპინძლებენ.

**ესპანეთი.** ლიგა ენდესას 26-ე ტური. გრანადა – ტენერიფე 87:95. **გიორგი შერმადინი** – 19 ქულა, 5 მოხსნა, 2 ასისტი, 1 დაფარება 31 წუთში და სეზონში მეორე, სულ კი კარიერაში 24-ე MVP-ის წოდება.

კუნძულელები 21 მოგებით და 5 წაგებით მეორე ადგილზე არიან, 13 აპრილს კი მრისხანე ლიდერ მადრიდის რეალს უმასპინძლებენ.

# მაგრამ ის მაინც პირველი იყო

**ბუნებრივია, ყველა ჩემპიონი პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებს, მაგრამ მაინც – ყინულის გამჭრელის როლი განსაკუთრებულია. ამჯერად სწორედ ასეთი მესაძირკვლის მიმართ უნდა გამოვხატოთ მადლიერება, მით უმეტეს, როცა უკვე საუკუნის თანატოლ ლეგენდაზე ვსაუბრობთ.**

დიახ, 29 მარტს პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს **დავით (ამურ) ციმაკურიძეს** 100 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ ჟამთა სვლა უძლურია ოდნავადაც კი გააფერმკრთალოს მისი ტრიუმფის სიდიადე. და იცით, რატომ? მართალი ბრძანდებით – სახელოვანი ფალავნის **მიშიკო მაჩაბლის** სისხლსა და ხორცს, სხვა თუ არაფერი, გენეტიკა ავალდებულებდა ხალიჩის დიდოსტატობას და მანაც ისტორიული ფინური წარმატება მიუძღვნა თანამემამულეთა საამაყო ტრადიციებს.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის 7-გზის ჩემპიონმა ჰელსინკის ხუთრგოლიანი თამაშების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მას შემდეგ შეაბიჯა, რაც ფინალში შვედ ლინდბლადთან რევანში აიღო სასტარტო ბრძოლაში დამარცხებისთვის – მადლობა ღმერთს, ფორუმის მაშინდელი დებულება ასეთ ვარიანტს რომ ითვალისწინებდა.



მაგრამ ის მაინც პირველი იყო...

# დიდი მოამაგე

**ქართულმა რაგბიმ დიდი მოამაგე და მეგობარი დაკარგა – 76 წლისა გარდაიცვალა ბორჯღალოსანთა პირველი უცხოელი მწვრთნელი კლოდ სორელი, რომლის სახელსაც ჩვენი სპორტის არაერთი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა უკავშირდება.**



თავიდან მას შვიდკაცას თავკაცობა ანდეს, თუმცა მალევე ეროვნულ ნაკრებში გადაინაცვლა და 2003 წელს იგი ისტორიულ-მსოფლიო თასზე დებიუტამდე მიიყვანა. განსაკუთრებულია ფრანგი პროფესიონალის მიერ ქართველ მორაგბეთათვის ევროპული ფანჯრის გაჭრაში შეტანილი წვლილი, რაც მის სამშობლოში მთელ რიგ ბორჯღალოსან ლეგიონერთა საკლუბო კარიერულ წინსვლაში გამოიხატა. ყველაფრისთვის დიდი მადლობა, მუსიე კლოდ! ალალი იყოს თქვენთვის ბორჯღალოსანთა ქომაგთა სიყვარული და საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენის კავალრობა!

# ბეიბი დიდრიქსონ ზაჰარიასი – ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი სპორტსმენი

**ბეიბი დიდრიქსონ ზაჰარიასი გახლდათ, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სპორტსმენი, რომელიც ცნობილია წარმოუდგენელი მრავალფეროვნებითა და მნიშვნელოვანი მიღწევებით სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ის 1911 წლის 26 ივნისს პორტ-არტურში, ტეხასის შტატში დაიბადა. მუშათა კლასის ოჯახში გაზრდილმა გოგონამ ადრეული ბავშვობიდანვე გამოავლინა სპორტის მიმართ ინტერესი.**

**ეს ძალიან ახარებდა მამამისს, რომელიც ხელს უწყობდა ქალიშვილის სპორტულ საქმიანობას. თინეიჯერობისას ის ადგილობრივ ვაჟთა გუნდებში ბეისბოლს თამაშობდა.**

1932 წლის ლოს-ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე იგი შეერთებული შტატების სახელით გამოვიდა. ახალგაზრდა გოგონამ ისტორია დაწერა და ორი ოქროს (80 მეტრზე დაბრკოლებებზე გადახტომასა და შუბის ტყორცნაში) და ერთი ვერცხლის (სიმაღლეზე ხტომაში) მედალი მოიგო. პირველ ორ შემთხვევაში მსოფლიო რეკორდები დაამყარა. ზაჰარიასის წარმოუდგენელმა მიღწევებმა მას ადგილი დაუმკვიდრა სპორტის ისტორიაში და გახადა ის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტსმენი.

მიუხედავად მძლეოსნობაში წარმატებებისა, ბეიბი დიდრიქსონ ზაჰარიასმა ყურადღება მიაპყრო გოლფს, სადაც კიდევ უფრო დიდ სიმაღლეებს მიაღწია. იგი შეუერთდა ქალთა პროფესიონალური გოლფის ასოციაციას 1945 წელს და მოკლე დროშივე გახდა ამ სახეობის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი. ზაჰარიასმა მოიგო 10 ძირითადი ჩემპიონატი, მათ შორის, ხუთი აშშ-ის ქალთა ღია ტიტული, რამაც ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ქალ გოლფის მოთამაშედ აქცია.

მისი კონკურენტუნარიანი სულისკვეთება და თამაში ქალებისთვის რევოლუციური იყო.

სპორტსმენის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე შთამაგონებელი ასპექტი იყო მისი უნარი, გადაელახა მრავალი პირადი და პროფესიული წინააღმდეგობა. 1953 წელს მას მსხვილი ნაწლავის სიმსივნე დაუდგინეს, მაგრამ უმაღლეს დონეზე თამაში განაგრძო და გაუტეხელი ნებისყოფა გამოავლინა. 1954 წლის აშშ-ის ქალთა ღია ჩემპიონატი ზაჰარიასმა სიმსივნის მკურნალობის პარალელურად მოიგო, რამაც სპორტში მისი პოზიცია კიდევ უფრო გაამყარა.



ბეიბი დიდრიქსონ ზაჰარიასი გარდაიცვალა 1956 წლის 27 სექტემბერს, 45 წლის ასაკში. იგი შეყვანილია ქალთა დიდების დარბაზში და ის რჩება მონდომების, ათლეტიზმისა და სპორტში ბარიერების დაძლევის სიმბოლოდ. გარდა ამისა, დასახელებულია Associated Press-ის წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად და დაჯილდოებულია თავისუფლების საპრეზიდენტო მედლით.

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ღვაწლმოსილი თანამშრომელი

**თინა გიორგის ასული ჯავახიშვილი.**

# თინა ჯავახიშვილი

## 1940–2025



ქალბატონმა თინამ სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია 1959-1965 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღო, 1968 წლის ივნისიდან კი შეუდგა მუშაობას ბოტანიკურ ბაღში უფროსი აგრონომის თანამდებობაზე. მას იმთავითვე დაევალა ზრუნვა „პარტერის" გაფორმებასა და მოვლა-პატრონობაზე. იმ დროისათვის ბოტანიკური ბაღის პარკმშენებლობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ლანდშაფტის არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი მანაგაძე. სწორედ გიორგი მანაგაძის მიერ შექმნილ „პარტერში", მისივე უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო ქალბატონი თინას კარიერა, რომელიც მოიცავდა კლდე-ბაღისა და საკოლექციო ნაკვეთის 4 ჰექტარი ფართობის მოვლა-პატრონობას. იგი თითქოს ყოველთვის გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას ბატონი გიორგის წინაშე მის მიერ შექმნილი უნიკალური ბაღის შენარჩუნებაზე. ქალბატონი თინას და მისი გუნდის დიდი მონდომებით, რუდუნებითა და კოლოსალური შრომით „პარტერი" ყოველთვის მოწესრიგებული, მოვლილი, ფერადი და თვალწარმტაცი იყო. ამ შრომის საფასური გახლდათ ბოტანიკური ბაღის მნახველთა აღფრთოვანებული გამოხმაურებები „პარტერის" შესახებ, რომელსაც მათ სიყვარულით ედემის ბაღიც კი შეარქვეს, ხოლო თვით ქალბატონ თინას – „პარტერის" დიასახლისი.

„პარტერის" დიასახლისის დიდი დამსახურებაა, რომ გიორგი მანაგაძის მიერ შექმნილი ფრანგული ტიპის უნიკალური ბაღი დღემდე ინარჩუნებს თავის ძირითად კონტურებსა და მომხიბვლელობას. საკუთარ ავტობიოგრაფიაში ქალბატონმა თინამ ბოტანიკურ ბაღში მისი საქმიანობის შინაარსი ძალზე ლაკონიურად ჩამოაყალიბა – „ყოველგვარ აგრონომიულ სამუშაოებზე კონტროლი და თან მონაწილეობა" და 2025 წლის 1 იანვრამდე ღირსეულად ატარა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის აგრონომის წოდება.

წლების უმეტესობა იგი მოქმედი აგრონომი გახლდათ, ხოლო ბოლო რამდენიმე წელი, როდესაც ჯანმრთელობის პრობლემების გამო უწყვეტი პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობას მოკლებული იყო, იგი ბაღს აგრონომ-კონსულტანტის რანგში ემსახურებოდა. ქალბატონი თინა ბოლომდე დარჩა ბოტანიკური ბაღის უდიდეს გულშემატკივრად – შეძლებისდაგვარად მონაწილეობდა ბოტანიკური ბაღის მიერ მოწყობილ მწვანე ფესტივალებსა და გამოფენებში, ხოლო თუ მოსვლას ვერ ახერხებდა, სიყვარულით სავსე გამოხმაურებებს წერდა ბოტანიკური ბაღის სოციალური მედიის პლატფორმებზე.

იგი გახლდათ აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მატარებელი ქალბატონი, კარგი პროფესიონალი და უღალატო კოლეგა. მუდამ ამაყობდა ბოტანიკური ბაღითა და საკუთარი თბილი და მზრუნველი ოჯახით.

ქალბატონი თინა ორივე ოჯახს ძალიან დააკლდება. ქალბატონი თინა ჯავახიშვილის მიერ განვლილი გზა არის საკუთარი ქვეყნის, არჩეული პროფესიის სიყვარულისა და მისთვის უანგარო მსახურების კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, რომელსაც უნდა იცნობდეს ჩვენი მომავალი თაობა.

**ვემშვიდობებით „პარტერის" დიასახლისს და მადლობას ვუხდით მას გაწეული შრომისა და ერთგულებისათვის.**



# იგი საქართველოს დააკლდა

## გიორგი სტურუას არდავიწყება

წელიწადი სრულდება დევი სტურუას უფროსი ვაჟის, გარეგნობიდან დაწყებული, მრავალი ღირსებით გამორჩეული, განუზომლად კეთილი, დიდად ნიჭიერი და განათლებული, თვალსაჩინო დიპლომატის **გიორგი სტურუას** გარდაცვალებიდან. კარგად მახსოვს მისი და უმცროსი ძმის, სოსოს ბავშვობა. ალერსით, სასოებით ზრდიდა ორივეს დედ-მამა, უნერგავდნენ სიკეთესა და პატიოსნებას, სამშობლოს ერთგულებას, სიყვარულს.

კვირაში ორ-სამჯერ, საღამოობით, მათ ოჯახში, დევის ბიძა, დედის ძმა, გამხდარი, შავგვრემანი, კოჭლი და კაფანდარა შალიკო აბულაძე დაიარებოდა. დარბაისლურ ქართულთან ერთად, გიმნაზიის დახვეწილი რუსულით მეტყველებდა. გიორგის და სოსოს არითმეტიკაში, ისტორია გეოგრაფიასა და სხვა საგნებშიც ამეცადინებდა. დევის შვილებისთვის ეთქვა, ყურადღებით მოუსმინეთ და დაუჯერეთ, ბევრი რამე იცის, მე და მელორი მაგისი გაზრდილები ვართო. პატარა, ბუნჩულა სოსოს შემკრთალს, გაოცებულს, შეუხედავს მამისთვის და უკითხავს – მერე, როცა დიდები ვიქნებით, ჩვენი შვილებიც შალიკო ბაბუამ უნდა ამეცადინოსო?!. ამას რომ ყვებოდა, დევი სიცილს ვერ იკავებდა.

ოთხმოცდაათიანი წლების საშინელმა არეულობამ, ქაოსმა, პროვოკაციულად გაჩაღებულმა შინაომებმა, როგორც მთელ საქართველოს, ასევე სტურუების ოჯახსაც ბევრი უსიამოვნება დაატეხა. იმ ჯოჯოხეთურმა ყოფამ, ძარცვამ, ყაჩაღობამ, ყველაფერს უმძიმესი დაღი დაასვა. ჩვენი ქვეყანა დღემდე ვერ გამართულა წელში და ვერ მოუშუშებია მაშინდელი ჭრილობები.

გიორგი სტურუამ, როგორც მისი გვარის ტრადიციები განაპირობებდა, 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი და 1977-1980 წლებში იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი. სამი წელი ნაყოფიერად იმსახურა იმავე ინსტიტუტის კათედრასა და პოლიგრაფიის კომიტეტში (გამომცემლობა „რადუგა"), ხოლო 1983 წლიდან მუშაობა გააგრძელა საქართველოში. თავიდანვე იჩენდა შესაშურ უნარს და დანიშნული იყო სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე; მუდამ საკუთარ სამშობლოს ინტერესებს ემსახურებოდა. გაკვირვებას იწვევს, იმ ურთულეს პირობებში, ახალგაზრდა კაცმა როგორ შესძლო ამდენის გაკეთება, მიაღწია ესოდენ თვალსაჩინო წარმატებებს დიპლომატიურ და ორგანიზატორულ საქმიანობაში. ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნებში იყო დელეგაციის ხელმძღვანელი. რუსულის გარდა, სრულყოფილად იცოდა ესპანური და ინგლისური ენები, რაც უადვილებდა დიპლომატიურ მოღვაწეობას.

გიორგი სტურუამ განსაკუთრებული ამაგი დასდო მოძმე აზერბაიჯანთან ისტორიულ მეგობრობას; სიცოცხლის ბოლომდე იყო „საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობის სახლის" გამგეობის თავმჯდომარე და ამ მხრივაც ბევრ სასიკეთო წამოწყებას დაუდო სათავე. გაცილებით მეტის გაკეთებას აპირებდა, რომ არა მოულოდნელი გარდაცვალება.

ნიშანდობლივია, რომ 2011 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (N83) გამოქვეყნდა გიორგი სტურუას საყურადღებო ინტერვიუ „კავკასია მაინც ერთიანი იქნება". ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს – კავკასიური მოდგმის ტომთა შორის უდიდესი ზიანის მომტანია შუღლი, რისი ჩამოგდებაც ასე ეწადათ და ახლაც სწადიათ გარემომცველ, ჩვენდამი მტრულად განწყობილ ძალებს. ეს აზრი თავიდან ბოლომდე მსჭვალავს ხსენებულ ინტერვიუს, სადაც რესპონდენტი მტკიცედ, დაჯერებულად ამბობს: „...ამ რეგიონის ხალხები, ადრე თუ გვიან, მაინც არა მხოლოდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, არამედ იცხოვრებენ მეგობრულად, თანხმობითა და ურთიერთდახმარებით, რისი მაგალითიც აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობაა."

სიმბოლურად გამოიყურება ის ამბავიც, რომ აზერბაიჯანის დღევანდელ პრეზიდენტს ილჰამ ალიევსა და გიორგი სტურუას ერთად დაუმთავრებიათ ზემოხსენებული ინსტიტუტი და ისინი გულითადი მეგობრები იყვნენ. გიორგი კმაყოფილებით იხსენებს, რომ თავდაჯერულობით, სისადავით გამორჩეული ილჰამ ალიევი არაფრით ჰგავდა გაზულუქებულ, ფუფუნების მოყვარულ, საზღვარგარეთ მოგზაურობებსა და დროსტარებაზე გადაყოლილი დიდი თანამდებობის ჩინოსანთა შვილებს, იგი ინსტიტუტში მეტროთი დაიარებოდა; ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ზედმიწევნით შეისწავლა საერთაშორისო ურთიერთობათა პერიოდები, დიპლომატიის ისტორია და ბრძენი მამის, სახელმწიფოებრივი პრინციპების ერთგული ჰეიდარ ალიევის გამოცდილების კვალდაკვალ, ისიც შეუდგა თავისი სამშობლოს ჭირისუფლურ, ღირსეულად მსახურებას.

გიორგი სტურუა უმწვავესად განიცდიდა, რომ საბჭოთა კავშირის უცაბედი დაშლის შემდეგ, ყოფილ რესპუბლიკებს შორის, საქართველო ყველაზე მეტად დაზარალდა. მეცნიერებისა და კულტურის სავალალო დაქვეითების გარდა, მოისპო მძიმე და მსუბუქი მრეწველობის მრავალი დარგი, განადგურდა და ჯართად, ჩალის ფასად გაიყიდა ფაბრიკა-ქარხნები, ელექტროსადგურები.

ძნელბედობას ისიც დაემატა, რომ 2003 წელს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა პოლიტიკოსად შემოგვაპარეს და მერე უფლებაშეუზღუდავ პრეზიდენტადაც დაგვისვეს სამმაგი აგენტი, მკვლელობათა დამკვეთი, სადისტი, ბოროტი გიჟი სააკაშვილი, ვინაც თავის დამნაშავე, პირსისხლიან ბანდასთან ერთად, ცხრა წელიწადი განუკითხავად ძიძგნიდა საქართველოს. მისგან ჩადენილ უსაშინელეს დანაშაულთა აღრიცხვა შეუძლებელია. 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციულად გაჩაღებული ხუთდღიანი ომის დროს, ჩვენი ტერიტორიების მეხუთედი ვერაგულად გაასხვისა, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა. ამაზე გიორგის არაერთხელ ულაპარაკნია ჩემთან, მაგრამ იმედსაც გამოთქვამდა, რომ ახლო მომავალში ჩვენი სამშობლოს მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა...

გარდაცვალებამდე ორი კვირით ადრე შინ მეწვია, თან საუკეთესო ღვინო მოიყოლა. მინდა, თქვენც გაგასინჯოთო. მისი ყურადღებით ყოველთვის გარემოსილი ვიყავი; ერთხელ, დიდი ხნის წინ, ძნელად საშოვნი წამალიც ამომიტანა სახლში. იმ ბოლო სტუმრობისას ორნი შევყევით ლაპარაკს, ბევრი რამე გავიხსენეთ, მიცვალებულებს პატივი მივაგეთ, თითო ბოთლი დავლიეთ ის მირონივით ღვინო.

ვიდრე აღესრულებოდა (ოთხი დღე ჰქონდა თურმე დარჩენილი, სანამ ძილში გაიპარებოდა), დამირეკა, მალე მე და ირინა თქვენთან მოსვლას ვაპირებთო. ძალზე გამიხარდა, მაგრამ ვაი, რომ ამ სურვილს შესრულება არ ეწერა. მიჭირს ენით გამოვთქვა, თუ როგორ დამამწუხრა გიორგი სტურუას ასეთნაირმა დაღუპვამ. საბედისწერო დამთხვევას წააგავს, რომ მანაც, სათაყვანებელ მამასავით, სამოცდაათი წლის მიჯნასთან დატოვა ეს ჭრელი წუთისოფელი. საცა სამართალია, მამა-შვილის მშფოთვარე, მანამდე დაცალკევებული სულები ერთმანეთს უნდა გადაბმოდა.

პირველი, ნაადრევად გარდაცვლილი, გულღია, ძალზე ეშხიანი მეუღლისაგან გიორგის ერთადერთი შვილი დარჩა, მთელი სანათესაოსა და ახლობლებისთვის საყვარელი დევიკო, ვინაც ღირსეულად ატარებს საამაყო ბაბუის სახელს და საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული იურისტია, ყმაწვილობაშივე დიდებული ოჯახი შექმნა; საერთაშორისო სამართლის ჩინებული მცოდნე, სანაქებოდ უძღვება მასზე მინდობილ საქმეს. გასაჭირის, ხანგრძლივ ავადმყოფობათა ჟამს, განუხრელად მხარში ედგა მშობელს, უსიამო დღეებს უმსუბუქებდა და ცხონებულიც დიდად მადლიერი იყო, განგებამ ასეთი ნანატრი მემკვიდრე რომ არგუნა.

ძნელია, რაიმე სანუგეშო უთხრა გიორგის დაქვრივებულ, მეორე მეუღლეს, ღვთიური მადლით მოსილ სვან ქალს, ძირფესვით ულამაზეს სოფელ ლატალთან დაკავშირებულ ირინა კვანჭიანს, ვისაც წელიწადია, ცრემლი არ შეშრობია და დათრგუნვილი, მგლოვიარე, ყოველდღიურად, მაღალი კვიპაროსების ჩრდილში, ქმრის საფლავთან ზის თავდახრილი. განვლილი ოცდაათი წელიწადი ერთმანეთის გვერდით ბედნიერი ყოფნის მერე, სამუდამო განშორებას მისი გონება ვერა და ვერ ურიგდება. მღელვარების გარეშე ვერავინ წაიკითხავს დამდაგველ სტრიქონებს, რაც მის გაბმულ მწუხარებას ერთი წლისთავის აღსანიშნავად დაუწერია. ორიოდე მცირე ამონარიდიც იკმარებს იმის წარმოსადგენად, თუ რა დაუყუჩებელი ქარიშხალიც ტრიალებს მარტოდ დარჩენილი, ერთგულების სიმბოლოდ ქცეული თანამეცხედრის გულში: „ვერც დრო, არც არაფერი შეგვცვლის. მიყვარხარ და მუდამ ასე იქნება. შენა ხარ ჩემი სიყვარული, რომელიც არასდროს განელდება...", „სიზმარშიაც სულ ჩემ გვერდით გხედავ, შენს ბოლო გზას ცრემლიანი გავყურებ, დამიბრუნდი, მენატრები, გიო!"..

ისეთი განცდა მეუფლება – ვერ დავიჯერებ, რომ ულმობლად დაკოდილი გულის ეგზომ მწარე ამონაკვესი, არ მისწვდეს სამზეოდან განშორებულ ბრგე ვაჟკაცს და სამარის ძილი, თუნდ მცირე ხნით, არ დაურღვიოს, ცოცხალთა სამყოფელი არ გაახსენოს.

* * *

საანკეტო რეზიუმეში, სადაც ნამსახურობათა გრძელი სიაა ჩამოწერილი, ბოლოს, განხორციელებულ პუბლიკაციებზე მისანიშნებლად, გიორგი სტურუა მოკლედ, ძუნწად აღნიშნავს:

„როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, აკადემიურ კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები და ნარკვევები საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხებზე."

გასახარელი იქნება, ამ გაფანტულ მასალებს თუ მოიძიებს, შეკრებს მისი საფიცარი ვაჟი, რათა მამის დანატოვარი წიგნად გამოიცეს. მაშინ კიდევ უფრო სრულად გამოჩნდება, რა იშვიათი ადამიანი, რაოდენ საჭირო პიროვნება დაკარგა საქართველომ.

ვერასოდეს მიხვდები, როდის რა უბედურება დაგატყდება. ვერაფრით წარმოვიდგენდი, არ მეგონა, შარშანდელი, ადრიანი გაზაფხულის დღეს, გიორგი სტურუას შავი, ცრემლჩამდგარი, ნაღვლიანად აპრიალებული თვალები, უკანასკნელად თუ შემომყურებდა. მაღალმა, ყოვლადმოწყალე ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი შეუბღალავი სული!

**ემზარ კვიტაიშვილი**

25 მარტი, 2025

# მიშო ჯავახიშვილი «რუსთავის» სამხატვრო ხელმძღვანელია, ია მაქაცარია-დირექტორი



**კულტურის მინისტრმა ანსამბლ „რუსთავს" ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი წარუდგინა. ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის, „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელად მიშო ჯავახიშვილი დაინიშნა.**

დირექტორის პოზიციაზე მინისტრმა **თინათინ რუხაძემ ია მაქაცარია** წარადგინა. შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი გაბუნია, კულტურის მინისტრის მოადგილე გიორგი მირცხულავა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე ესწრებოდნენ, ანსამბლის განვითარებისა და შემოქმედებით გეგმების შესახებ ისაუბრეს.

## მადრიდში ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა



**ესპანეთში, მადრიდში, ქართული ბიბლიოთეკა გაიხსნა. ინფორმაციას გიორგი კეკელიძე ავრცელებს სოციალურ ქსელში.**

2024 წელს კომპანია „ბიბლუსმა", გენერალური დირექტორის ირაკლი გაგნიძის თაოსნობით, გიორგი კეკელიძესთან ერთად დააფუძნა „წიგნიერების გამავრცელებელი საზოგადოება", რომლის თავმჯდომარე გიორგი კეკელიძე გახდა. საზოგადოება ქართული ქალაქებისა და სოფლების სკოლებისა და ბიბლიოთეკების წიგნებითა და კომპიუტერებით მომარაგებას, ასევე საზღვარგარეთ ქართული წიგნის კუთხეების მოწყობას, ლექცია-სემინარებს და სხვა საგანმანათლებლო პროექტებს ემსახურება.

## გოგონებმა გორში კოკარსის გრან-პრი ჩამოაბრძანეს




საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული
“RIGA SINGS 2025"

**რიგაში გამართულ საერთაშორისო საგუნდო კონკურსზე „RIGA SIGNS 2025" გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯთან არსებული გოგონათა გუნდი იმანტ კოკარსის სახელობის გრან-პრის მფლობელი გახდა;**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ახალგაზრდული გუნდების კატეგორიაში გოგონათა გუნდმა პირველი პრემია და ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ნომინაციაში „საუკეთესო დირიჟორი" ნინო წიკლაურმა გაიმარჯვა.

გორის გოგონათა გუნდი რიგაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაემგზავრა.

კულტურის სამინისტრო გოგონათა გუნდს კონკურსში გამარჯვებას ულოცავს და ახალგაზრდა ხელოვანებს შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

## ფილმი «სორო» The North Film Festival Sweden-ის ოთხ ნომინაციაზეა წარდგენილი




**„სორო" (The Burrow) წარდგენილია შემდეგ კატეგორიებში: საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმი, საუკეთესო რეჟისორი, საუკეთესო მამაკაცი მსახიობი და საუკეთესო დამდგმელი ოპერატორი. აღნიშნულ კატეგორიებში ასევე წარდგენილია ფილმები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან (აშშ, გერმანია, მექსიკა, კანადა, საფრანგეთი).**

„სორო" მარკოზაშვილის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომლის პრემიერაც 2025 წლის 24 აპრილს სტოკჰოლმში (შვედეთი) გაიმართება.

ფილმის სიუჟეტის ცენტრში ახალგაზრდა ქალია, რომელიც მოწმის სტატუსით უნდა წარდგეს სასამართლოში. მოწმეთა დაცვის სამსახურს კი მისი დროებით გადამალვა უხდება, რათა მის სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას.

ფილმში მთავარ როლებს ოთარ მიქელაძე, დათა გოგიაშვილი, ლიკა გიორგობიანი, დავით ტყებუჩავა და ნიკო კანკია ასრულებენ.

## საბაჟო წესის დარღვევით 2276 გრამი ოქრო გადმოჰქონდა!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის, საბაჟო წესის დარღვევით გადმოტანის ფაქტზე, ერთი პირი დააკავეს. ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფის" გავლით, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოიტანა 346 908 ლარის საბაჟო ღირებულების, 2 276 გრამი ოქროს საიუველირო ნაკეთობები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7-წლამდე ვადით.

## 71 წლის ქალი გერმა მოკლა!

**გოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამხუტში 71 წლის ქალი საკუთარ სახლში პოლიციამ გარდაცვლილი იპოვა.**

არსებული ინფორმაციით, ქალს სასიკვდილო ჭრილობები გერმა მიაყენა. ქალის ცხედარი 6 აპრილის საღამოს შსს-ს თანამშრომლებმა იპოვეს. მეზობლები აღნიშნავენ, რომ ქალი სახლში მარტო ცხოვრობდა. შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## კიდევ ერთი ნარკორეალიზატორი გამოიჭირეს!

**საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების მცდელობის ფაქტებზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება შემდგომი გასაღების მიზნით მცხეთის მუნიციპალიტეტისა და გორის ტერიტორიაზე განათავსა. სხვა ტერიტორიებზე ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით განთავსებამდე კი, იგი სამართალდამცველებმა თელავში დააკავეს. ბრალდებულის სახლის, ავტომანქანის და პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 66 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ", მობილური ტელეფონი, წებოვანი ლენტები, სასწორი, ნიჩაბი და დრონი.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, 19-260-ე მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა.

## ყალბი ფულის გამსაღებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეა!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, დაკავებულ იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქე.**

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულის მიერ, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, შიდა ქართლის რეგიონში, გასაღებულ იქნა, საერთო ჯამში, 5 000 აშშ დოლარის ოდენობის ყალბი 32 ცალი 100-დოლარიანი და 36 ცალი 50-დოლარიანი კუპიურა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი კუპიურები სრულად იქნა ამოღებული.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში"**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C—323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 11 აპრილს**